წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—53, მთ. კანტორის—8—81.

ორშაბათი, 8 აგვისტო 1932 წ. № 183 (3437)

მზად ვიყოთ ახალ სასწავლო წლისათვის

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვე დარჩა. სასწავლო წლის გეგმიანად და ორგანიზაციულად დაწყება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უზრუნველვყოფთ სკოლებს, როგორც შენობებით და ინვენტარით, ისე სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებით და მასწავლებელთა კადრებით.

უნდა ითქვას, რომ იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომელსაც სკოლებს და კერძოდ მასიურ სკოლებს უყენებს პარტია და ხელისუფლება, მჭიდროთ არის დაკავშირებული სკოლების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების, კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და მარქსისტულ-ლენინური პროგრამების და სახელმძღვანელოების საკითხთან. გასულ სასწავლო წელს ჩვენი სკოლები სწორედ აქ მოიკოჭლებდნენ და მხოლოდ ეს იყო იმის უმთავრესი მიზეზი, რომ გასული წლის სასწავლო გეგმები მის უმთავრეს მაჩვენებლის მიხედვით არა დამაკმაყოფილებლად შესრულდა.

საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილება, დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ— აყენებს სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანას. ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ ვერ ამზადებენ ისეთ კადრებს, რომელსაც მოითხოვს სოციალისტური მშენებლობის ტემპები. ამ მხრით ამომწურავი მითითება მოგვცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჯერ კიდევ 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა. პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია, ის კადრები, რომლებსაც ამზადებს, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლები **„აღჭურვილნი უნდა იყვნენ საკმაოდ ღრმა სპეციალური ტეხნიკურ და ეკონომიური ცოდნით და ფართო საზოგადოებრივ - პოლიტიკური ჰორიზონტით — ისეთი თვისებით, რომლებიც საჭიროა მშრომელთა ფართო მასების საწარმოო აქტიობის ორგანიზატორთათვის“.**

პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ უდიდესი მიღწევები მოვიპოვეთ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაობის გარდაქმნის დარგში. მტკიცე ფუნდამენტი ჩაეყარა სკოლის პოლიტეხნიზაციის ბაზაზე გარდაქმნის საქმეს. გადახალისდა სკოლის მუშაობის მთელი შინაარსი, აიწია მოწაფისა და მასწავლებლის როლი სკოლის მუშაობის პრაქტიკაში. მეფის რეჟიმის დროს სკოლა წარმოადგენდა მეფისა და ბურჟუაზიის კლასიურ ბატონობის იარაღს. დღეს კი ჩვენი სკოლა ზრდის უკლასო სოციალისტურ საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებლებს, ადამიანებს, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან მთელი მშენებლობის საქმეს.

ერთ-ერთი მორიგი უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას მასების კულტურული დონის ამაღლების დარგში, ეს ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისა და საყოველთაო სწავლების გატარებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სასკოლო მშენებლობის კიდევ უფრო გაშლას, როგორც ახალი შენობების აგებას, ისე არსებულის შეკეთებას. გასულ სასწავლო წელში სასკოლო მშენებლობის გეგმა ჩაიშალა. არ აგებულა სკოლის არც ერთი ახალი შენობა. ხოლო შეკეთდა უმნიშვნელო რაოდენობის სკოლის შენობა. ეს მდგომარეობა ავალებდა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და პირველ რიგში სამეურნეო ორგანიზაციებს მიმდინარე წელში აღარ გაემეორებიათ გასული წლის შეცდომები.

სამწუხაროდ ამას მთელ რიგ რაიონებში ვერ ვხედავთ. სასკოლო მშენებლობის შეკეთება ამჟამად აშკარა **არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.** მარტო თბილისში დღემდე სკოლების მხოლოდ 25 პროცენტია შეკეთებული. ამის მიზეზი არის როგორც საამშენებლო მასალებით მოუმარაგებლობა, ისე შინა რესურსების გამოუყენებლობა. არ არის გაშლილი თვითინიციატივა სასკოლო მშენებლობის ფონდის შექმნისათვის თვითეულ წარმოებასთან, თვითეულ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობასთან. იმ უდიდესი ამოცანების შესრულება, რომლებიც სასკოლო მშენებლობის დარგში დგას ჩვენს წინაშე, ყოვლად შეუძლებელია ადგილობრივი რესურსების მობილიზაციის გარეშე, ადგილობრივად როგორც თანხების შეგროვების, ისე საამშენებლო მასალების დამზადების გარეშე.

საყ. სავ. სწავლების გატარება და სკოლების რიცხვის ზრდა მოითხოვს მასწავლებელთა ახალ კადრებს. მასწავლებელთა კადრებით ამჟამად ჩვენი სკოლები მთლიანად არ არის დაკმაყოფილებული. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებზე. მომავალი სასწავლო წლისათვის საჭიროა 15.100 მასწავლებელი, — განსახკომის კადრების სექტორის ცნობით აღრიცხვაზე აყვანილია 12.000 კაცი.

ამ უკანასკნელად გახშირდა მასწავლებელთა ცვალებადობა, რასაც ზოგიერთ შემთხვევებში ხელს უწყობენ ადგილობრივი ორგანიზაციები, ამ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. საჭიროა მასწავლებლების ხანგრძლივი მიმაგრება სკოლებზე. ამისათვის, რა თქმა უნდა, არ კმარა მარტო აგიტაცია, არამედ საჭიროა ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ მათი მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობები.

უკვე ვუახლოვდებით ახალ სასწავლო წელს. სექტემბრიდან სკოლები უნდა შეუდგნენ მუშაობას. ეს ჩვენ გვავალებს მთელი ძალები დავრაზმოთ ახალი სასწავლო წლის მომზადებული შეხვედრისათვის. ადგილობრივი პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალური, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება უნდა დაირაზმოს საქ. განსახკომის, პროფსაბჭოს, კოლმეურნცენტრის და კომკავშირის ცეკას მიერ გამოცხადებულ **ახალი სასწავლო წლის მზადების ერთთვიურის ბოლშევიკურად ჩატარების ირგვლივ.**

ერთთვიურის განმავლობაში უნდა უზრუნველვყოთ სასკოლო შენობების შეკეთების დამთავრება, ახალი შენობის აგებისათვის ადგილობრივი სახსრების გამოძებნა, კულაკების კონფისკაციაქმნილი სახლების სკოლებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემა, სასკოლო ბინების განთავისუფლება სხვა დატვირთვისაგან, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების უზრუნველყოფა, მასწავლებელთა მომარაგების მოწესრიგება, სწავლების აქტიური მეთოდების მასიური გაცნობა, სოცშეჯიბრის და დამკვრელობის, როგორც სასკოლო მუშაობის ფორმების და მეთოდების, დანერგვა სკოლებში, სკოლების სახელმძღვანელოებით, პროგრამებით და პოლიტეხნიკური მოწყობილობებით და ინვენტარით უზრუნველყოფა, საწარმოო პრაქტიკის სწორი ორგანიზაცია, სკოლების სათბობით უზრუნველყოფა, მოწაფეთა კვებით და მომარაგებით დაკმაყოფილება, (ცხელი საუზმეების გაცემა, ტანფეხსაცმელის მოწოდება) და სკოლებსა და წარმოებებს შორის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება.

ყველა ამ ამოცანების გატარება შესაძლებელია მშრომელი მოსახლეობის დახმარებით ნებაყოფლობითი პრინციპების საფუძველზე, თანხების შეგროვებით, მასიური შაბათობის მოწყობით, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციით და, რაც მთავარია ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლით სასკოლო მუშაობაში, ბოლშევიკურად უნდა დავარტყათ მემარჯვენე გადახრას, რომელიც ამ ეტაპზე სკოლის პოლიტეხნიზაციის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს, უნდა აღკვეთოთ „მომემარცხენო“ „სკოლის სიკვდილის“ და მასწავლებელთა როლის დამცირების თეორიის ყოველგვარი გამოხატულებანი.

ახალი სასწავლო წლის მზადების დამკვრელი ერთთვიური უკვე დაიწყო. ადგილებზე მუშაობა გაიშალა. საჭიროა ერთთვიურის ჩატარებაში ფართოდ ჩავაბათ მუშათა, კოლმეურნეთა და მშრომელ გლეხთა ფართო მასები. ადგილობრივმა, პარტიულმა, საბჭოთა პროფესიონალურმა და სხვა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მტკიცე კონტროლი ერთთვიურის მსვლელობაზე. **ერთთვიური უნდა გადავაქციოთ ახალი სასწავლო წლის მომზადების და კულტურული მშენებლობის მეორე ხუთწლიანი გეგმის ფართოდ დამუშავების მასიურ კამპანიად.**

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

ფერომშენი

ზესტაფონი, 7 აგვისტო (საქ. კორ.). 5 აგვისტოს ფერო-მარგანეცის ქარხნის ღუმელების კორპუსის მშენებლობაზე ჩასხმულია 16,4 კუბომეტრი ბეტონი. ბუნკრებზე მუშაობს მხოლოდ ერთი ბრიგადა თექვსმეტი მუშის შემადგენლობით.

შაქარმშენი

აბარა, 7 აგვისტო (საქ. კორ.). აგარის შაქრის ქარხნის მშენებლობის გეგმა შესრულებულია 92 პროც. ქარხნის მონტაჟის გეგმა—54 პროც. მშენებლობისთვის საჭირო 1211 მუშის ნაცვლად მუშაობდა 476 მუშა. მონტაჟზე გეგმით გათვალისწინებულ 543 მუშის ნაცვლად მუშაობდა 157 მუშა.

ჩინელთა მოხალისე რაზმების შეტევა მანჯურიაში

იაპონიის სარდლობა გზავნის დამხმარე ძალებს

ტოკიო, 6 აგვისტო. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, მანჯურიაში ჩინელ. მოხალისე რაზმებმა **დაიწყეს შეტევა 9 პუნქტში ჩანჩუნსა და ინკოუს შორის. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავებულია ინკოუს რაიონში, სადაც იაპონიის სარდლობამ მუკდენიდან გზავნილ დამხმარე ძალებს გარდა, პორტ-არტურიდან გაგზავნა ფლოტილია და კრეისერი, რომლებმაც გადმოსხეს დესანტი.** ინკოუს გამართულ ბრძოლის დროს იაპონელებს მოუკლეს 20 კაცი. **დიდი შეტაკება მოხდა** ხაინ-ში (პუნქტი სამხრეთ მანჯურიის რკინის გზაზე, მუკდენიდან სამხრეთით) და სხვა რაიონებში.

მუკდენი, 6 აგვისტო. **მანჯურიის მოწინააღმდეგე ჯარმა 2 აგვისტოს იერიში მიიტანა ხაიჩენზე. პარტიზანებმა ალყა შემოარტყეს იაპონიის არტილერიის ადგილობრივ რაზმს და ტყვიამფრქვევები დაუშინეს ხაიჩენს. ინკოუს (ნავთსადგური ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე) ფაქტიურად ალყა შემორტყმულია მანჯურიის მოწინააღმდეგე ჯარის მიერ. ინკოუს რაიონის სხვა და სხვა პუნქტებში სწარმოებს ბრძოლა მანჯურიის მოწინააღმდეგე ჯარსა და იაპონიის ჯარს შორის, აგრეთვე ჩინელთა პარტიზანულ რაზმებსა და იაპონიის ჯარს შორის.** (ადს).

იაპონიის ავიაცია ყუმბარებს უშენს ჩან-სუე-ლიანის რაზმებს

იაპონიის პრესა ჩან სიუე-ლიანის სამხედრო მზადების შესახებ

ტოკიო, 6 აგვისტო სიმბუნ-რენგოს სააგენტო ცინჯოუდან იტყობინება, რომ თითქოს ჩაოიანის რაიონში, ჩავიდა ჩან სიუე-ლიანის მოხალისეთა ჯარი, რომელიც შეუდგა სიმაგრეების აგებას. ჩაოიანის რაიონში გრძელდება ჩან სიუე-ლიანის ჯარების ჩასვლა.

გაზეთი „ასახი“ იტყობინება, რომ ჟეხეს პროვინციის ხელისუფლებამ ჩაოიანში ააგო აეროდრომი. ბეიპიაოს და ჩაოიანის რაიონებში აგებს სიმაგრეებს. იაპონიის ხელისუფლება ამ მოქმედებას აფასებს, როგორც სამხედრო ოპერაციების მომზადებას იაპონიის წინაღმდეგ (ადს).

იაპონიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ჩან სიუე-ლიანის რაზმებს

ტოკიო, 6 აგვისტო. სიმბუნ-რენგოს სააგენტოს გადმოცემით. იაპონიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ჩან სიუე-ლიანის რაზმებს იახტუტუნის რაიონში (გოუბანცის სადგურის დასავლეთით, მუკდენ-შანხაი-გუანის რკინის გზის ხაზზე) (ადს).

იაპონიის ლიდერების თათბირი

ტოკიო, 6 აგვისტო. სიმბუნ-რენგოს სააგენტო მუკდენიდან იტყობინება, რომ ხაიჩენისა და ინკოუს რაიონებში მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით, მუკდენში შესდგა თათბირი მორის (სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის დამცველი რაზმის უფროსი) და იაპონიის სხვა ლიდერების მონაწილეობით. თათბირმა, ტოკიოდან მიღებულ კატეგორიულ ინსტრუქციებთან შეფარდებით, განიხილა და შეიმუშავა ღონისძიებანი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ (ადს).

იაპონია იარაღდება

ტოკიო, 6 აგვისტო. „მიაკო“ იტყობინება, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება 8,500 ტონა წყალწყვის ახალი კრეისერის აგება. ეს კრეისერი იქნება ერთ-ერთი იმ ოთხი კრეისერიდან, რომელთა აგება ნებადართულია ლონდონის შეთანხმებით. კრეისერი თავისი საბრძოლო ხარისხით გადააჭარბებს 10,000 ტონა წყალწყვის კრეისერს (ადს).

იაპონიის საზოგადოებრიობა მოითხოვს ტერორისტთა სასჯელის შემსუბუქებას

ტოკიო, 6 აგვისტო. იაპონიის პატრიოტული ორგანიზაციები შეუდგენ ხელის მოწერის შეგროვებას პეტიციისათვის, რომელშიაც მოითხოვენ ინუკაის და პრემიერ ინუკაის მკვლელობის მონაწილეთა და აგრეთვე 15 მაისის ტერორისტული აქტების მონაწილეთა სასჯელის შემსუბუქებას. ამასწინად სამხედრო ოფიცრების — ინუკაის მკვლელობის მონაწილეთა ჩვენების საფუძველზე და პატიმრებულ იქნა კიდევ 10 ოფიცერი, რომლებსაც კავშირი ქონდათ პრემიერის მკვლელობასთან (ადს).

იაპონიის საწინააღმდეგო მოძრაობა შანხაიში

შანხაი, 6 აგვისტო. „სისხლის ჯგუფის“ მოქმედება შანხაიში არ სწყდება. რამდენიმე პირმა და ფირმამ მიიღო მუქარის წერილი. ნანკინშიაც მოეწყო „სისხლის ჯგუფი“, რომელმაც გაუგზავნა წერილი ნანკინის სავაჭრო პალატას და დაემუქრა მას აფეთქებით იმ შემთხვევაში, თუ იგი განაგრძობს იაპონური საქონლით ვაჭრობას. ასეთივე ჯგუფები მოეწყო სხვა ქალაქებშიც. „ნაციონალური ხსნის „ასოციაციამ“ გამოაქვეყნა მანიფესტი რომელიც იწონებს ამ ჯგუფების მოქმედებას.

რეიხსტაგის გახსნის წინ

გააფთრებული კამპანია ამხ. კლარა ცეტკინის წინააღმდეგ

ბერლინი, 6 აგვისტო. მთელმა ფაშისტურმა და ნახევრად ფაშისტურმა პრესამ დაიწყო გააფთრებული კამპანია ამხ. კლარა ცეტკინის წინააღმდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ ამხ. კლარა ცეტკინმა, რომელიც ჰასაკით ყველაზე უფროსია, ახალი რეიხსტაგის წევრთა შორის, წესდების მიხედვით, თავმჯდომარეობა უნდა გაუწიოს რეიხსტაგის პირველ სხდომას, ახალი თავმჯდომარის არჩევამდე. ნაციონალ - სოციალისტური „ანგრიფი“ აცხადებს, რომ რეიხსტაგისა და გერმანელი ხალხისათვის სამარცხვინო იქნება, თუ, „მოსკოვში მცხოვრები და მოსკოვის დავალებით მომქმედი ებრაელი გახსნის რეიხსტაგს“ (ადს).

ამზადებენ ახალ საგანგებო დეკრეტებს

ბერლინი, 6 აგვისტო. გაზეთები იტყობინებიან, რომ მოსალოდნელია ახალი მკაცრი შინაპოლიტიკურ ღონისძიებათა გატარება. 4 აგვისტოს შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა კენიგსბერგში, შლეზვიგ-გოლშტინიაში და სხვა ადგილებში მომხდარ ტერორისტულ აქტებით გამოწვეული მდგომარეობა. საბჭომ განიხილა აგრეთვე საკითხი აგრესიულ ზომების შესახებ. მთავრობას განზრახული აქვს გამოსცეს ახალი საგანგებო დეკრეტი. ამ დეკრეტით გაზეთის გამომცემლობებს პროფესიონალურ სახლებს, და სხვა დამხმარე დაწესებულებებს, რომლებსაც მოელოდათ ნაციონალ - სოციალისტების თავდასხმა, აკრძალული ექნებათ მოაწყონ თავდაცვა (ადს).

ნაციონალ-სოციალისტები აძლიერებენ ტერორისტულ აქტებს

ფაშისტური ტერორი გერმანიაში

ბერლინი, 6 აგვისტო. ღამით, როზენბერგში (ზემო სილეზია), ფაშისტებმა მოახდინეს მთელი რიგი ტერორისტული აქტები გაზეთ „ობერ შლეზიშერ კურიერ“-ის რედაქციაზე მოიერიშე რაზმელებმა გადაისროლეს ყუმბარა. მეორე ყუმბარა გადაისროლეს ადგილობრივ სასტუმროში. პოლიცია იტყობინება, რომ ქალაქ ჰინდენბურგში და სასინტში (ზემო სილეზია) გახსნილია მოიერიშე რაზმელთა ყაზარმა, რომელშიაც 26 კაცია. პოლიციამ კონფისკაცია უყო მკვეთ და ცეცხლმფრქვევ იარაღს. მოიერიშე რაზმელთა სოდალი დაპატიმრებულია (ადს).

ბერლინი, 6 აგვისტო. გერმანიის მრავალ ოლქში გრძელდება ნაციონალ-სოციალისტების ტერორისტული აქტები. ტილზიტში „უცნობმა პირებმა“ ორჯერ გაისროლეს კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბინაზე. ებენზაუზენში და პოგენშეფტლიარში „უცნობმა პირებმა“ ხელით სასროლი ყუმბარა გადაისროლეს ბავარიის სახალხო პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის ბინაში. მიუნხენში, ღამით ახალგაზრდობის სოციალ - დემოკრატიული კავშირის შენობაში გადაისროლეს ცეცხლმჩენი ყუმბარა. ხანძარმა გაანადგურა თითქმის მთელი მოწყობილობა. სოციალ - დემოკრატიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ „გაუგებარია“ ხელისუფლების ტაქტიკა ამ ტერორისტულ აქტებთან ბრძოლის საკითხში. კენიგსბერგში ხელისუფლების ორგანოებს დღემდე არ გამოუქვეყნებიათ არავითარი ცნობები მომხდარი თავდასხმების გამო წარმოებულ გამოძიების შედეგების შესახებ (ადს).

საპროტესტო გაფიცვები ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

ბერლინი, 6 აგვისტო. ნაციონალ-სოციალისტების მოიერიშე რაზმების მხრით მუშებზე გახშირებულ ტერორისტულ თავდასხმებთან დაკავშირებით, აღმოსავლეთ პრუსიისა და დასავლეთ გერმანიის მთელ საწარმოში გამოცხადებულია პოლიტიკური გაფიცვები. კენიგსბერგში გაფიცულია მუშა მშენებლები ექვს მშენებლობაზე, გაფიცული არიან აგრეთვე ცემენტის ფაბრიკის მუშები. ელტის მიდამოებში, კრეფელდის მახლობლად საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა პროტესტის ნიშნად ფაშისტურ მოიერიშე რაზმელთა მიერ მუშა ფეიქარის მოკვლის წინააღმდეგ. შრონშტაუში, ოპელნის მახლობლად (ჩრდილოეთი სილეზია), ნაციონალ-სოციალისტების ადგილობრივი ორგანიზაცია 15 კაცის შემადგენლობით, გადავიდა ანტიფაშისტურ კავშირში, რასაც ორგანიზაციის წევრები ასაბუთებენ იმით, რომ ჰიტლერის პოლიტიკა ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს. კრეფელდში და ტრახტენბერგში, ანტიფაშისტური კავშირის ენერგიული აგიტაციის შედეგად, ადგილი ქონდა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიიდან გამოსვლის მთელ რიგ შემთხვევებს (ადს).

პროტესტები ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

ბერლინი, 6 აგვისტო. „რეიხსბანერი“-ს თავმჯდომარემ ჰელტერმანმა და მისმა მოადგილემ ლებერმა ინახულეს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ფონ-გაილი და სთხოვეს მას მიიღოს „გადამწყვეტი ზომები ნაციონალ - სოციალისტების ტერორის წინააღმდეგ“. გაილს გადასცეს მასალა ნაციონალ-სოციალისტების ტერორზე „რეიხსბანერის“ წევრთა წინააღმდეგ და, კერძოდ, აღნიშნეს, რომ მოიერიშე რაზმების აკრძალვის გაუქმების შემდეგ მოკლულია „რეიხსბანერის“ 15 წევრი და მძიმედ დაჭრილია 104 წევრი (ადს)

უმუშევარ ვეტერანთა ბრძოლა გრძელდება

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. ქალაქ ჯონსტოუნის მერმა, სადაც დაბანაკდნენ ვაშინგტონიდან გამოძევებული ვეტერანები, განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ ვეტერანები შინ. უოტგერსი და სხვა რეაქციონური ბელადებიც მოუწოდებენ ვეტერანებს დაბრუნდნენ თავიანთ სახლში. ბევრი ვეტერანი აღშფოთებულია უოტგერსის გამცემლობით და აცხადებს, რომ დარჩებიან ჯონსტოუნში, მიუხედავად შიმშილისა და რეაქციონური ლიდერების მოწოდებისა. ვეტერანების უკანვე გამგზავრებისათვის საჭირო სახსრები გაიღო ფოლადის ჩამომსხმელმა კომპანიამ „ბეტლეემ სტილ კომპანი“-მ, რომელსაც დიდი ქარხნები აქვს ჯონსტოუნში. მუშების, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების რევოლიუციონური ლიგა აქტიურ მუშაობას ეწევა ვეტერანებს შორის ჯონსტოუნში, ლიგა იბრძვის ვეტერანების გადასახლების წინააღმდეგ და მოითხოვს კონგრესის სპეციალური სესიის მოწვევას ომის ვეტერანებისათვის მიცემულ ვალდებულებათა გადახდის საკითხის განსახილველად. ლიგა მოითხოვს უმუშევრობისაგან სახელმწიფო დაზღვევის შემოღებას და მოუწოდებს უმუშევრებს მოაწყონ ვეტერანებთან ერთად დეკემბერში ლაშქრობა ვაშინგტონზე. პოლიციამ დაარბია ვეტერანების დამხმარე პუნქტები, რომლებიც ლიგამ მოაწყო.

გარდაიცვალა კიდევ ერთი ვეტერანი ვილიამ ჰანი, რომელიც დაშავდა გაზებით.

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. ვეტერანთა ბანაკში საბრძოლო განწყობილების ზრდით დაშინებულმა რეაქციონურმა ლიდერებმა განკარგულება გასცეს. რომ დელეგატების ხელმძღვანელები მოემზადონ ვეტერანების სასწრაფო ევაკუაციისათვის. ქალაქ მაკ-ლასკის მერმა ბრძანება გასცა მოახდინონ 15 აგვისტოსათვის ვეტერანთა არა ნაკლებ 75 პროცენტის ევაკუაცია. ჯონსტოუნში მყოფ 9 ათას ვეტერანიდან ათას ხუთას კაცზე ნაკლები გაემგზავრა. ვეტერანების უმრავლესობამ არ იცის საით წავიდეს, რადგან მათ არა აქვთ საცხოვრებელი ადგილი. ბანაკებში მყოფ ვეტერანთა 80 პროცენტს არ გააჩნია სახლ-კარი.

შეერთებული მთავრობის პროტესტი საფრანგეთის მთავრობისადმი

ეჯიმ პროტესტი განუცხადა საფრანგეთის მთავრობას საფრანგეთ - ბელგიის უკანასკნელი სავაჭრო შეთანხმების გამო, რომელიც ბელგიას, მთელ რიგ მუხლების მიხედვით, ანიჭებს ფაქტიურ პრეფერენციებს, რაც მიმართულია ამერიკის ინტერესების, კერძოდ, სპილენძის ექსპორტის წინააღმდეგ (ადს).

ანტისაბჭოთა ყალბ დოკუმენტების დამამზადებელთა პროცესი

ბერლინი, 6 აგვისტო. მალე ბერლინში დაიწყება ორი თვის წინად დაპატიმრებულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ყალბი საბუთების დამამზადებელთა — თეთრგვარდიელ **აბდულ-ხან აფშარისა და ელაგინის** გასამართლება. სასამართლოში მოწმეებად გამოვა მრავალი უცხოელი დიპლომატები. რომლებიც სარგებლობდენ აბდულ-ხან აფშარისა და ელაგინის სამსახურით. დამახასიათებელია, რომ დამცველები ემყარებიან იმ მტკიცებას, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც აფშარისა და ელაგინისაგან ყიდულობდნენ ამ დოკუმენტებს, იცოდნენ, რომ ეს დოკუმენტები ყალბი იყო. დამცველთა მასალების მიხედვით, ბერლინის ერთ-ერთმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ზოგიერთ დოკუმენტის ყიდვის, დროს. თითქოს, აფშარს განუცხადა, რომ თუ ის მოიტანს არა ყალბს. არამედ ნამდვილ დოკუმენტებს, მაშინ გაცილებით უფრო მეტ საფასურს მიიღებს (ადს).

კონკურსი ამხ. სტალინის 6 მითითების საუკეთესოდ შესრულებაზე მძიმე მრეწველობაში

კონკურსში ჩაბმის უკანასკნელი ვადაა 15 აგვისტო

სამზადისი სუსტად მიმდინარეობს

საქართველოს მძიმე მრეწველობაში, ამხ. სტალინის 6 მითითების საუკეთესოდ შესრულებაზე გამოცხადებულ კონკურსში ჩასაბმელად საჭირო სამზადისი ნელის ტემპით ვითარდება. ამავე დროს კონკურსში ჩაბმის უკანასკნელი ვადა ახლოვდება. მძიმე მრეწველობის საწარმოების განკარგულებაში სულ რამდენიმე დღე დარჩა. საქართველოს მძიმე მრეწველობის სხვადასხვა დარგებიდან მხოლოდ ერთად-ერთი ზაჰესია ჯერ-ჯერობით ჩაბმული კონკურსში, დანარჩენი საწარმოებიდან არაფერი ისმის.

საქ. მძიმე მრეწველობის რწმუნებულის სამმართველო სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს კონკურსში ჩაბმის საქმეს. სამმართველოს არ აქვს იმის ცნობებიც კი, თუ სად სწარმოებს ამჟამად სამზადისი კონკურსში ჩასაბმელათ, ან რამდენათაა უზრუნველყოფილი საქ. მძიმე მრეწველობის ცალკე საწარმოთა ჩაბმა ამ კონკურსში.

პროფესიონალური ორგანიზაციები კვლავ უყურადღებოთ ეკიდებიან კონკურსის ჩატარების საქმეს. საქ. პროფსაბჭომ ვერ უზრუნველყო გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა და კონკურსისათვის სამზადისში პროფესიონალური ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმა. აშკარა ხდება კონკურსის მნიშვნელობის შეუფასებლობა პროფესიონალური ორგანიზაციების მხრივ და თუ ამას ბოლო არ მოეღო უახლოეს დღეებშივე— კონკურსის ჩატარების საქმე საქართველოში ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგება.

საჭიროა მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ დაუყონებლივ დაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ადგილებზე და პრაქტიკულათ უხელმძღვანელოს კონკურსისათვის მზადებას.

საჭიროა საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცეს პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს, რომ მათაც უზრუნველყონ კონკურსის სამზადისში ძირეული პროფორგანიზაციების მონაწილეობა.

თათბირი კონკურსის მზადების შესახებ

მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის ა.-კ. რწმუნებულთან შესდგა თათბირი კონკურსისათვის მზადების მსვლელობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. თათბირზე გამოირკვა, რომ კონკურსისათვის სამზადისი ყველაზე უფრო გაცხოველებულათ მიმდინარეობს აზერბეიჯანში. კერძოთ, ბაქოში არსებულ მძიმე მრეწველობის საწარმოთა დიდი უმრავლესობა უკვე ჩაბმულია კონკურსში.

სომხეთშიაც კონკურსისათვის სამზადისი ფართოდაა გაშლილი. ამ საკითხის მასიურ დამუშავებას უკვე შეუდგნენ შამშუნის სპილენძის საწარმოებზე, ერევნის საწარმოებში, ალავერდის ქარხანაში, ალავერდის სპილენძის მადნის მაღაროებში, არტიკ-ტუფის სამუშაოებზე და სხვ.

საქართველოში, გარდა ზაჰესისა, ჯერ არც ერთ საწარმოდან არაა მიღებული ცნობა კონკურსში ჩაბმის შესახებ. საქართველოში არსებულ ზოგიერთ საწარმოთა წარმომადგენლებმა თათბირზე გამოამჟღავნეს დემობილიზაციური განწყობილება. აღნიშნული იყო, მაგალითად, რომ ისინი ვერ იკისრებენ კონკურსში ჩაბან ყაზბეგის ანდეზიტის, ბარიტის მადნები და სხვ. ასეთი დემობილიზაციური განწყობილება დაგმობილ იქნა და საქ. მძიმე მრეწველობის რწმუნებულის სამმართველოს და ა.-კ. ტრესტს დაევალათ მიიღონ ყოველგვარი ზომები, კონკურსში ჩაბან არა მარტო მოწინავე, არამედ ჩამორჩენილი საწარმოებიც.

თათბირმა გადაწყვიტა, რომ კონკურსისათვის მზადების ჩატარებაში გაზ. „კომუნისტმა“ შეფობა გაუწიოს ჭიათურის და ტყიბულის მაღაროების და კასპის ცემენტის ქარხანას.

ვინ აგვიანებს კონკურსში ჩაბმას

მძიმე მრეწველობის კომისარიატის ა.-კ. რწმუნებულის სამმართველოში 7 აგვისტოსათვის არავითარი ცნობები კონკურსში ჩაბმის შესახებ არ იყო მიღებული შემდეგი საწარმოებიდან:

26 კომ. სახ. ქარხანა, კალინინის სახ. ქარხანა, ამხ. ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხანა, ბათომის ნავთსახდელი ქარხნები, მარგანეცის მრეწველობა, ქვანახშირის მრეწველობა, კასპის ქარხნიდან, ბარიტის მაღაროებიდან, ყაზბეგის და ბაკურიანის ანდეზიტიდან, რიონჰესიდან, გუმბრინიდან, ფერომშენიდან, დიატომიტის სამუშაოებიდან და აბჰესიდან.

მძიმე მრეწველობის დანარჩენ საწარმოებში სამზადისი უკვე დაწყებულია.

ძირულის აგურის ქარხანა ჩამორჩა

ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა მთელს რაიონში. მიუხედავათ ამისა, ადგილობრივი ორგანიზაციები მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ქარხანამ მეორე კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა შეასრულა მხოლოდ 79,2 პროც., რაც ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების გაუტარებლობის შედეგია. ქარხნის არც ერთი ცეხი და ბრიგადა არაა გადასული სამეურნეო ანგარიშზე. ადგილობრივ სამკუთხედმა ეს საკითხი დავიწყებას მისცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საამშენებლო მასალათა ტრესტი ქარხანას სუსტ ხელმძღვანელობას უწევს. წარმოებაში ადგილი აქვს ხელფასის „მომემარცხენო“ გათანაბრების ფაქტებს (მემანქანე-სპეციალისტის ხელფასი გათანაბრებულია მშავ მუშის ხელფასთან და სხვ.). ამ მიმართულებით დღემდე ადგილობრივ ორგანიზაციებს არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯი, არავინ ზრუნავს მუშა-ხელის გეგმიან შეგროვებაზე, რის გამო ქარხანა მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდის. ასევე სუსტი ყურადღება ექცევა მუშათა კვების გაუმჯობესების საკითხს, მუშათა დახურულ სასადილოში არ ხდება კერძების ცვლა, მზადდება უსუფთაო კერძები, რაზედაც მუშები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ანალოგიურ მდგომარეობაშია მუშათა მომარაგება. ქარხნის დახურული განაწილებელი ცუდად ამარაგებს მუშებს, არ არის პირველი მოთხოვნილების საქონელი. აღნიშნულ საკითხის მოგვარებაზე ზესტაფონის კოოპერაცია ნაკლებად ზრუნავს.

პარტმასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი არაა გადატანილი საამქროებში და ბრიგადებში, რის გამო გეგმების შესრულების დაბალი მაჩვენებლები გვაქვს, რაც პარტუჯრედის [illegible] ლობას უნდა მიეწეროს.

აღნიშნულ დეფექტების სასწრაფოდ აღმოფხვრა ადგილობრივი სამეურნეო, პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანას უნდა შეადგენდეს.

ქ. ვარდოსანიძე.

აღმოვფხვრათ გაცდენები და დეფექტები

(ტყიბული, საკ. კორესპონდენტისაგან)

მაის-ივნისის თვეში მოხდენილი გარდატეხა ტყიბულის მაღაროებში შენარჩუნებულ იქნა მაღაროების ბოლშევიკების და დამკვრელობის მუშების გმირული ბრძოლის მეოხებით.

ივლისის თვეში მაღაროებში გამოღებული იქნა 20620,4 ტონა ქვანახშირი, **დავალება შესრულებულია 78,3 პროც.** ივნისში გამოღება უდრიდა 20331,1 ტონა, დავალების 78,1 პროც. მაღაროებში მუშაობდა 1221 მუშა, გეგმით გათვალისწინებულის 69,5 პროც. მუშათა რაოდენობის მიხედვით გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული. გეგმა თვითეულ მუშაზე შრომის ნაყოფიერებას ითვალისწინებდა 15 ტონას, ფაქტიურად კი ნაყოფიერება, თვითეულ მუშაზე უდრიდა 16,8 ტონას. **დავალება შესრულებულია 112 პრ.**

უბნების მიხედვით აღმოსავლეთ უბანმა ივლისში გამოიღო 8532,7 ტონა, დავალება შესრულდა 77.2 პროც. თვის მეორე ნახევარში გამოღების ტემპები საგრძნობლად გაძლიერდა. პირველ ნახევარში დავალება შესრულდა 73.4 პროც. თვიური დავალება კი—77,2 პროც.

დასავლეთ უბანმა ივლისის მეორე ნახევარში შეამცირა გამოღების ტემპები. პირველ ნახევარში გეგმა შესრულდა 82,8 პროც., თვის მთლიანი დავალება კი 79 პროც. გეგმით გათვალისწინებულ 15288 ტონის ნაცვლად გამოღებულია 12.087,7 ტონა. ტემპების შესუსტება გამოწვეულია მუშა-ხელის სიმცირით და შრომის დისციპლინის შესუსტებით. უნდა აღინიშნოს, რომ მაღაროებში უკანასკნელად დიდათ გაიზარდა გაცდენები. აღმოსავლეთ უბანში გაცდენები უდრის 7,7 პროც., დასავლეთ უბანში 8,1 პროც., რაც გამოწვეულია მასიურ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებით. მაღაროებში ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას. ივლისში მოზიდული იქნა 246 მუშა, წავიდა წარმოებიდან 222 მუშა.

გვირაბებში დღემდე არაა მოწესრიგებული მუშა-ხელის სწორად განაწილება, რის გამო ძლიერ ჩამორჩა წმენდითი და მზადებითი სამუშაოები. მაგ., ორივე უბანში ჩამორჩენილია შტრეკების გამაგრება. დასავლეთ უბანში მ. გაბაძის სამუშაოებზე სასულეები და შტრეკები ძლიერ ჩამოწვა— იქმნება ზვავების ჩამოწოლის საფრთხე. ასეთი მაგალითები ბევრია, ამიტომ ეხლა გადამჭრელი მნიშვნელობა ეძლევა მუშა-ხელის გეგმიანად გამოყენებას. დაუყოვნებლივ უნდა გაძლიერდეს სასულეების და შტრეკების გამაგრება, რომ აღკვეთილი იქნას ზვავების ჩამოწოლის საფრთხე.

მაღაროების სამკუთხედმა უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები გაცდენების აღმოსაფხვრელად, რათა ამით მიღწეული გარდატეხების განმტკიცების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნას ქვანახშირის გამოღების შემდგომი გაძლიერება.

ლ. ჯავახაძე.

მოვახდინოთ გადამჭრელი გარდატეხა სესხის რეალიზაციაში სოფლად

აღმოვფხვრათ ჩამორჩენა სესხის რეალიზაციაში სოფლად

საქ. შემნახველ სალაროების სამმართველოს ცნობით, მთელს საქართველოში პირველ აგვისტოსათვის ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხზე ხელის მოწერა ჩატარებული იყო სულ **40.420.000** მანეთის რაოდენობაზე, რაც საკონტროლო ციფრის **84,1 პროცენტს** შეადგენს.

ხელის მოწერის საერთო რაოდენობიდან **მუშა-მოსამსახურეებს**, ტრანსპორტზე მომუშავეების ჩათვლით, სესხზე ხელი მოწერილი აქვთ 36.859000 მანეთზე, ანუ დავალების 98,9 პროცენტი. **ქალაქის დანარჩენ მოსახლეობაში** ხელმოწერა ჩატარებულია 3.561.000 მანეთზე (დავალების 93,1 პროც.); **კოლმეურნეებს** ხელი მოწერილი აქვთ 2.795.000 მანეთის ობლიგაციაზე — საკონტროლო დავალების 81 პროცენტი, ხოლო **ინდივიდუალურ მეურნეებს** — 1 046.000 მანეთზე — გეგმის 14.4 პროცენტი.

როგორც ვხედავთ ახალ სესხზე ხელის მოწერა კვლავ დიდათ ჩამორჩება ინდივიდუალურ სექტორში, **სადაც გეგმა შესრულებულია მხოლოდ 14,4 პროცენტით** ასეთი მდგომარეობა იმით უნდა აიხსნას, რომ დღემდე უმეტეს რაიონულ ორგანიზაციებს არ გაუშლიათ სოფლად მშრომელთა მოსახლეობის შორის ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია, რაიონები ამ საქმეში დაეყრდნენ აშკარა თვითმდინარეობას. ინდივიდუალურ სექტორში **სესხის რეალიზაციის ტემპები,** — როგორც ეს საქ. კ.პ.(ბ) ცკას ბიუროს 28 ივლისის დადგენილებაშია აღნიშნული,— **„ქმნიან კამპანიის ჩაშლის საფრთხეს“.**

სოფლად ინდივიდუალურ სექტორში ახალი სესხის რეალიზაციის ირგვლივ ფართოდ უნდა გაიშალოს მასიურ - პოლიტიკური მუშაობა და **მხოლოდ** ამის საფუძველზე რაიონებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ ამ საქმეში საგრძნობი გარდატეხა და იბრძოლონ დავალების უახლოეს ვადაში განაღდებისათვის.

რაიონულ შემნახველ სალაროების მუშაკებს, რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება სოფლად სესხის რეალიზაციაში (განსაკუთრებით ინდივ. მეურნეობაში) არსებულ ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის. ლოზუნგი — **„არც ერთი მშრომელი სესხის ობლიგაციის გარეშე“**—უნდა გადაიქცეს ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვრელ ამოცანად.

„წინადადება მიეცეს საქართველოს ფინსახკომს და საქ. შემნახველ სალაროების სამმართველოს დაუყოვნებლივ აიღონ სოფლად მუშაობის საბრძოლო ტემპები სესხის რეალიზაციისათვის კოლმეურნეთა და განსაკუთრებით ინდივიდუალურ მეურნეთა შორის იმ ანგარიშით, რომ ერთი დეკადის ვადაში მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას ამ ხაზით; უზრუნველყონ აღნუსხული ხელმოწერის სრული გაფორმება შესატანით ივლისის პირველ ნახევრის ხელფასიდან და გააძლიერონ მუშაობა სესხზე ხელმოწერაში მუშების და მოსამსახურეების შემდგომი ჩაბმისათვის“. (საქ. კპ.(ბ) ცეკას ბიუროს 28 ივლისის დადგენილებიდან).

საფინანსო ორგანოებმა პარტიის და ხელისუფლების საბრძოლო დავალებები დროზე, განუხრელად უნდა გაატარონ ცხოვრებაში. ამ საქმეში თვითმდინარეობას, მოდუნებას და უპასუხისმგებლობას საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ლი

კუს ნაბიჯით

(სამტრედიის რაიონი)

რაიონში ახალი სესხის რეალიზაცია აშკარად არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს; ეს გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანიზაციები თვითმდინარეობას დაეყრდნენ.

რაიონში ამჟამად არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს, რაიფინგანი, რაიშემნახველი სალარო და პროფსაბჭო სრულ უმოქმედობას იჩენენ.

სას. საბჭოები (იანეთი, კულაში, გომი, ოფეთი) ამ კამპანიას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ინდ. სექტორში სესხის რეალიზაცია ჩაშლის საფრთხის წინაშეა.

სათანადო მასიური მუშაობის გაუშლელობის შედეგები რაიონში ახალი სესხი კოლმეურნეობებში რეალიზაციაქმნილია 82.9 პროც.; ხოლო ინდ. სექტორში 1.8 პროცენტით.

ბრიგადირი.

ახალ სესხზე ხელის მოწერა კოლმეურნეობებში და ინდივიდ. სექტორში

1 აგვისტოსათვის

(საქ. შემნახველ სალაროების სამმართველოს ცნობების მიხედვით)

	კოლმეურნეობებში		ინდივიდ. მეურნეობებში	
აფხაზეთი	299.000 მან.	105,3 %	177.000 მან.	22,1 %
აჭარისტანი	89.000	118,7	32.000	17,1
სამხრეთ - ოსეთი	63.000	75,9	25.000	13,7
აბაშის რაიონი	76.000	116,9	5.000	4,6
ადიგენის	8.000	61,5	50.000	52,6
ახალქალაქის	27.000	41,6	17.000	12,1
ახალციხის	29.000	100,0	42.000	85,0
ამბროლაურის	5.000	78,3	—	—
ბაღდათის	12 000	52,2	13.000	9,2
ბოგდანოვკის	16.000	84,2	38.000	42,2
ბაშკიჩეთის	15.000	51,7	15.000	12,7
ბორჯომის	11.000	100,0	11.000	12,9
ბორჩალოს	98.000	107,7	34.000	29,8
ვანის	36.000	81,8	6.000	5,7
გარე - კახეთის	20.000	62,5	3.000	2,3
გურჯაანის	21.000	50,0	30.000	7,6
გორის	103.000	75,2	14.000	7,2
ზემო - სვანეთის	7.000	175,0	59.000	3,0
ზუგდიდის	99 000	106,5	28.000	14,7
ზესტაფონის	54.000	87,1	12.000	5,5
დუშეთის	20.000	46,5	—	—
ყარაიას	42.000	113,5	24.000	70,6
ქუთაისის	52.000	94,5	21.000	7,3
ყვარელის	21.000	210,0	18.000	10,0
კასპის	72.000	93,5	38.000	29,2
ლიუქსემბურგის	58.000	156,8	36.000	30,5
ლანჩხუთის	82.000	113,9	3.000	13,8
ლაგოდეხის	77.000	81,1	3.000	3,8
მარტვილის	53.000	39,3	1.000	1,0
მცხეთის	22.000	66,7	8.000	9,5
მანგლის-ალბულაღის	50.000	108,7	15.000	9,3
ოზურგეთის	118.000	120,4	1.000	100,0
ოკრიბის	23.000	100,0	2.000	3,0
ონის	17.000	23,2	—	—
ფოთის	5.000	100,0	—	—
სტალინისის	102.000	67,1	35.000	15,6
სიღნაღის	88.000	102,3	13.000	4,4
სენაკის	99.000	49,7	2.000	1,9
სამტრედიის	62.000	82,7	3.000	1,8
ტოლოშის	16.000	76,2	52.000	67,5
თბილისის	73.000	158,7	34.000	27,0
თელავის	9.000	15,3	1.000	0,8
ხობის	23.000	88,5	3.000	2,4
ხარაგოულის	31.000	67,4	27.000	19,0
ხევის	1.000	50,0	7.000	28,3
ხონის	63.000	100,0	8.000	5,1
წალენჯიხის	40.000	66,7	8.000	7,5
წალკის	9.000	50,0	30.000	29,1
ცაგერის	30.000	48,4	—	—
ჭიათურის	50.000	46,7	13.000	5,3
ჩხოროწყუს	20.000	83,3	5.000	6,8
ჩოლურის	2.000	100,0	—	—
ჩოხატაურის	58.000	98,5	2.000	4,3
ჩხარის	12.000	92,9	26.000	20,9
ერწო - თიანეთის	14.000	63,6	1.000	2,8

ამგვარად, საქართველოს ყველა რაიონებში კოლმეურნეობებში ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სესხზე ხელის მოწერა ჩატარებული იყო სულ 2.795.000 მანეთის რაოდენობაზე, რაც დავალების 81 პროცენტს **შეადგენს.** ინდივიდუალურ სექტორში ხელის მოწერა ჩატარებულია 1.046.000 მანეთის რაოდენობაზე, საკონტროლო ციფრი შესრულებულია **მხოლოდ 14,4 პროცენტით.**

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კოლმეურნეობათა განმტკიცების საბრძოლო ამოცანები

ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვიდან მოსკოვის კომიტ. მე-2 გაფართოებულ პლენუმზე მოსკოვის ოლქის რაიკომების მდივნებთან ერთად

მოსკოვის კომიტეტის მეორე პლენუმზე ამხ. კაგანოვიჩი გამოვიდა დიდი სიტყვით სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კოლმეურნეობათა განმტკიცების საბრძოლო ამოცანების შესახებ.

ამხ. კაგანოვიჩმა თავის სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ „საკოლმეურნეო მშენებლობის და საერთოდ სოფლის მეურნეობის საკითხები ჩვენთვის ამჟამად წარმოადგენენ ცენტრალურ საკითხებს. ამხ. კაგანოვიჩი დაწვრილებით შეჩერდა მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის თავისებურებებზე და აქედან გამომდინარე ამოცანებზე.

განვამტკიცოთ პოლიტიკური და სამეურნეო მხრით გაზაფხულის თესვის წარმატებანი

ამხ. კაგანოვიჩმა, აღნიშნა რა გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარება, სთქვა: ეხლა, თესვის დამთავრების შემდეგ, ჩვენს წინაშე სდგას მნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანა—დაუყოვნებლივ გავშალოთ მუშაობა კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, რათა ამ გზით კოლმეურნეობების მხარეზე გადავიყვანოთ ინდივიდუალური გლეხები—ღარიბი და საშუალო გლეხები.

ინდივიდუალურ მეურნეთა გადაყვანა კოლმეურნეობების მხარეზე მოითხოვს განსაკუთრებულ ენერგიას და უნარს. უკანასკნელ დროს სოფლად ამოძრავდენ კულაკური, კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები. აქედან გამომდინარეობს ამოცანა—გავაძლიეროთ ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ და ნაყოფიერი მუშაობით ჩვენს მხარეზე, კოლმეურნ. მხარეზე გადავიყვანოთ ინდივიდუალური მეურნეები. ამას ჩვენ მივაღწევთ სამგვარი ღონისძიებით: პირველ ყოვლისა, მუშაობის კარგი ორგანიზაციით კოლმეურნეობებში და მათი სამეურნეო განმტკიცებით, შემდეგ—გადამწყვეტი ბრძოლით კულაკისა და სპეკულიანტის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ დაშალონ ყველაზე უფრო სუსტი კოლმეურნეობანი; ბოლოს ინდივიდუალური მეურნისადმი ოსტატური მიდგომით, მისი გადაყვანით კოლმეურნეობათა მხარეზე, ოღონდ ამას უნდა მივაღწიოთ გადახვევების დაუშვებლად და ადმინისტრატიული ზომების მიუღებლად, შეუპოვარი მასიურ-პოლიტიკური მუშაობის გზით, რევოლიუციონური კანონიერებისათვის ბრძოლის გზით. ინდივიდუალურ მეურნეებთან მუშაობის დროს, რევოლიუციონური კანონიერების დაურღვევლად და გადახვევებისა და ადმინისტრატიული ზეგავლენის დაუშვებლად, ჩვენ ინდივიდუალურ მეურნეებს არ უნდა მივცეთ მაინც დიდი შეღავათები და უპირატესობანი კოლმეურნეებთან შედარებით. ამავე დროს, მაგალითად, პურის დამზადების პერიოდში, იყო ისეთი შემთხვევები, როცა ინდივიდუალური მეურნეები არ ასრულებდენ პურის დამზადების გეგმას და ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. თუ ჩვენ საგადასახადო პოლიტიკას და დამზადების პოლიტიკას გავატარებთ ისე, რომ ინდივიდუალური მეურნე გვერდს აუხვევს და არ შეასრულებს ვალდებულებებს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინაშე, მაშინ ჩვენ ნაკლებად შევუწყობთ ხელს კოლმეურნეთა განმტკიცებას. მთავარი ამოცანა ამ მიმართულებით მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობას ჩვენი მხრით, ჩვენს მუშაობას მათი სამეურნეო განმტკიცებისათვის შედეგად მოჰყვეს ის, რომ კოლმეურნეობა გახდეს სამეურნეო მოქმედების კიდევ უფრო ხელსაყრელ ფორმად, რომ კოლმეურნემ იგრძნოს კოლექტიური მეურნეობის ყველა უპირატესობა ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კოლმეურნეობა, როგორც მეურნეობის სოციალისტური ფორმა, იძლევა კოლმეურნის პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებთან შეთანხმების სრულ შესაძლებლობას. უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო კოლმეურნეობაში შესვლის ფაქტით გლეხი კიდევ არ ხდება სოციალისტად, იგი ხელს არ იღებს და არ შეუძლია ხელი აიღოს პირად დაინტერესებაზე და სისულელე იქნებოდა მოგვეთხოვა ეს მისგან. მთელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოხერხებულად შევათანხმოთ კოლმეურნის პირადი ინტერესი საზოგადოებრივ ინტერესთან, განვავითაროთ საზოგადოებრივი მეურნეობა და მით ავამაღლოთ ჩვენი სახელმწიფოს კეთილდღეობა, ავამაღლოთ ყველა მშრომელთა კეთილდღეობა. რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში? ეს, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ კოლმეურნეობა გავხადოთ უფრო შემოსავლიან მეურნეობად, ვიდრე „ინდივიდუალური მეურნეობაა, კოლმეურნეობას ამისათვის აქვს ყველა უპირატესობა ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. აი ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობა იყოს მაქსიმალურად შემოსავლიანი მეურნეობა.

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის გადიდების გზები

ერთ-ერთ უმთავრეს ღონისძიებას კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის გადიდების საქმეში—ამბობს შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი,—წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდება მოსავლიანობის გადიდების გზით.

მტკიცე მიწადმოქმედების შექმნა დიდი მოსავლის და აგრეთვე მეწველი პირუტყვი დიდი წველით წარმოადგენს ჩვენს საბრძოლო ამოცანას.

შემდეგი საბრძოლო ამოცანაა—ბრძოლა დანაკარგებთან სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში, რასაც განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა აქვს. იმის გამო, რომ ცუდათ არის დაყენებული მოსავლის აღებისა და მოსავლის დამუშავების საქმე, მოსკოვის ოლქის მინდვრებზე სუსტად სწარმოებს ბრძოლა სარეველა ბალახის [illegible] დებ, ცუდათ არის დაყენებული გამარგვლა, გალეწვა, დაბალია ძროხების წველის დონე, მცირეა სწრაფად მოსაშენებელი პირუტყვის ნამატი და სუსტია მათი მოვლა-პატრონობა. ყოველივე ამის გამო ადგილი აქვს უდიდეს დანაკარგებს. ჩვენ გვაკლდება პროდუქტების კოლოსალური რაოდენობა. ყველა ამ საკითხებზე ჩვენ უნდა გავამახვილოთ ჩვენი კოლმეურნეობათა და ყველა კოლმეურნეთა ყურადღება. ავიღოთ თუნდაც პირუტყვის მოვლა-პატრონობის საკითხი. კოლმეურნეობებში ეს საქმე ძალიან ცუდათ არის დაყენებული. მარტო ამით ჩვენ გვაკლდება მრავალი სული პირუტყვი, გვაკლდება პროდუქტი პირუტყვის ცუდათ დაყენებული წველისა და კვების გამო. სამწუხაროდ ზოგიერთ კოლმეურნეებს ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული, თუ როგორ უნდა მოეკიდონ საკოლმეურნეო ქონებას, საკოლმეურნეო ჯოგს, როგორც კოლმეურნის წევრთა საზოგადოებრივ ქონებას. განსაკუთრებით ამჟამად კულაკი ხელს უწყობს საკოლმეურნეო ქონების განიავებას და გატაცებას, რომლის წინააღმდეგ ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. კოლმეურნე და კოლმეურნე ქალი ჩვენ უნდა დავაინტერესოთ შრომა-დღის რაც შეიძლება მეტი ანაზღაურებით. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაფართოვოთ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობით არის მოცული საკოლმეურნეო პროდუქცია, იმის მიხედვით, თუ როგორ ბრძოლას აწარმოებენ ისინი დანაკარგებთან, როგორი სამეურნეო უნარს იჩენენ და როგორ უვლიან პირუტყვს და სხვ.

შემოსავლიანობის გადიდების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის დამატებითი და დამხმარე დარგების განვითარებას. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ, მაგალითად, მარცვლეულის კოლმეურნეობათათვის მარცვალი არ უნდა წარმოადგენდეს ერთად-ერთ სასაქონლო პროდუქციას. მარცვლეულის მეურნეობას უნდა ქონდეს მთელი რიგი დამატებითი დარგები, როგორც მეფუტკრეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, სათბურები და, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, სხვადასხვა დამხმარე სარეწაოები. ავიღოთ, მაგალითად, კონობეევის სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც ჩაცკის რაიონშია. აქ იმყოფება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა მოსკოვის კომიტეტთან მოსალაპარაკებლად. ეს კოლმეურნეობა მოთავსებულია მდ. ცნეზე და აერთაინებს 420 კომლს. კოლმეურნეობა ჩაება საკოლმეურნეო ვაჭრობაში: გაჰყიდა თავისი პროდუქციის სანიავებელი მანქანა და აქვე იყიდა სათესლე კარტოფილი დამატებით დასათესად 40 ჰექტარზე. მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ მოაწყო აგურის წარმოება. თქვენ ყველამ კარგათ იცით, რომ ქარხნებს, რომლებსაც ჩვენ ვაშენებთ, არ ყოფნით აგური. ამის გამო საჭირო ხდება აგურის შემოტანა სხვა მხარეებიდან. კოლმეურნეობა სწუხს იმის გამო, რომ მან არ იცის სად გაასაღოს მის მიერ დამზადებული 125 ათასი აგური, ვინაიდან კოლმეურნეობის აგურის წარმოება 40 კილომეტრით არის დაშორებული სადგურიდან. ამავე დროს კი შესაძლებელი იყო მოწყობილიყო აგურის გადატანა მდინარე ცნაზე. კონობეევის კოლმეურნეობის მაგალითი მოწმობს იმ თავისებურ „გაუპიროვნების" შესახებ, რომელსაც ჩვენში აქვს ადგილი და, რომელიც გამოიხატება იმის არცოდნაში, თუ რა მზადდება და რა შეიძლება დამზადდეს კოლმეურნეობებში ჩვენ ვერ ვიყენებთ იმ უდიდეს შესაძლებლობებს, რომლებიც არსებობს კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის გასადიდებლად. ჩვენთან მოდიან ამხანაგები ცალკე ქარხნებიდან და მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ სასწრაფო დაკვეთების შესასრულებლად იმათმა ვადაზე უნდა დაამთავრონ მშენებლობა, მაგრამ ამისათვის არ ყოფნით აგური. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ, რომ საიდანაც არ უნდა იყოს იშოვონ აგური, ვინაიდან ამისათვის არ შეგვიძლია შევაფერხოთ სასწრაფო დაკვეთების შესრულება. ამავე დროს კონებეევის კოლმეურნეობამ არ იცის თუ სად წაიღოს თავისი აგური. სხვათა შორის ამავე კონებეევის კოლმეურნეობას ჰქონდა, მაგრამ ამ ჟამად სავსებით გაუქმებულია ხარდნების მნიშვნელოვანი სარეწაო. საჭიროა ყველაზე უფრო სერიოზული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობებში დამატებითი სარეწაოების განვითარებას. ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი კოლმეურნეობათა ინიციატივას და თვითმოქმედებას, მივცეთ მათ მთელი რიგი შეღავათები და, რასაკვირველია, შესაფერისად შევუმციროთ გადასახადები.

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი გადადის კოლმეურნეობის შიგნით შემოსავლის განაწილების საკითხზე და ამბობს:

შემდეგი საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ესაა საკითხი შემოსავლის განაწილების შესახებ კოლმეურნეობის შიგნით. ესაა საკითხი კოლმეურნეობათა შემოსავლის განსაზღვრის, კოლმეურნეთა შემოსავლიდან ანარიცხების გამოქვითვების შესახებ და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენში ადგილი აქვს არანორმალურ მდგომარეობას და მთელ რიგ ნაკლოვანებებს. მაგალითად, ადგილი აქვს კოლმეურნეობებში კაპიტალური მშენებლობით ზედმეტად გატაცებას—რამდენიმედ ზედმეტ „საამშენებლო ენტუზიასტს". კოლმეურნეობის გამგეობა არ ერევა ბალანსის დეტალებში და საერთო ანგარიშში, არამედ უბრალოდ იღებს დიდ თანხებს კაპიტალური მშენებლობისათვის. ამის შედეგად ზოგიერთ კოლმეურნეობებში კოლმეურნეები ხშირად მცირე თანხას იღებენ შრომა-დღეებისათვის. კოლმეურნეობათა გამგეობები ხშირად ისე ანაწილებენ შემოსავალს, რომ მასში საკმაოდ არ აბამენ კოლმეურნეობათა მასებს. ნაწილობრივ ამით აიხსნება საერთო შემოსავლის ის სრულიად არასაკმაო ნაწილი, რომელსაც ხშირად კოლმეურნეობებში იღებენ შრომა-დღეებისათვის. ჩვენ მიმდინარე წელს უნდა დავისახოთ, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა—მივაღწიოთ იმას, რომ შრომა-დღეებში გასანაწილებლად მიდიოდეს კოლმეურნეობის მთელი საერთო შემოსავლის არა ნაკლებ 50—60 პროცენტი. ამის გამო საგრძნობლად უნდა შემცირდეს სხვა დანიშნულების ხარჯები, უნდა შემცირდეს არაჩვეულებრივი გატაცება კაპიტალური მშენებლობით. ყველა აშენებს და კოლმეურნეობებმაც გადასწყვიტეს არ ჩამორჩენ. ამავე დროს ხშირად აშენებენ უგეგმოდ, აშენებენ ისე, რომ არ გრძნობენ მის განსაკუთრებულ საჭიროებას. ამავე დროს მეტად ძვირად და უხეიროდ. რასაკვირველია, მშენებლობა უნდა სწარმოებდეს კოლმეურნეობებში. შენობები უნდა ავაგოთ. გლეხი, რომელიც ინდივიდუალური მეურნე იყო, აწარმოებდა მშენებლობას, აგებდა ფარეხს, თავლას და სხვ. თუმცა მან არ იცოდა, რომ ამას ეწოდებოდა „კაპიტალური მშენებლობა", მაგრამ მშენებლობა უნდა სწარმოებდეს გეგმის მიხედვით. უნდა შენდებოდეს ის, რაც ნამდვილად საჭიროა და, რაც მთავარია, მივაღწიოთ მშენებლობის მაქსიმალურად გაიაფებას, შინაგანი რესურსების მობილიზაციას და პირველ რიგში გამოვიყენოთ არსებული ნაგებობანი. სულ ერთია, ერთი წლის განმავლობაში ვერ შევძლებთ ყოველივე იმის აშენებას, რაც კოლმეურნეობისათვისაა საჭირო, ვინაიდან მეურნეობის მშენებლობა და გაფართოება ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მთელი რიგი წლების განმავლობაში.

შემდეგ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების გადაჭრით შემცირებას, ვინაიდან ეს ხარჯები მეტად დიდია. აქ საჭიროა მუშგლეხინის ორგანოების დახმარება, რომლებსაც აქვთ გამოცდილება სახელმწიფო აპარატში ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯებისა და მართველობის ხარჯების შემცირების საქმეში. დასასრულ სასტიკი და ულმობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ცუდი მომჭირნეობასთან, საკოლმეურნეო ქონების ქურდობასთან, განიავებასთან და დატაცებასთან, რასაც აქა-იქ ჯერ კიდევ აქვს ადგილი და, რომლის წინააღმდეგ ჩვენ მთელი სისასტიკით უნდა გამოვიყენოთ რევოლიუციონური კანონი.

ჩვენ არასაკმაო ყურადღებას ვაქცევთ კოლმეურნეთა განუზოგადებელ დამატებით მეურნეობას. კიდევ მეტი: მე შემიძლია ვსთქვა, რომ დამატებითი მეურნეობაზე ხშირად ადგილებზე მეტად არა სწორი შეხედულება აქვთ.

ასეთ დამოკიდებულებას უეჭველად აქვს ადგილი რაიონებში, თუმცა რაიონისა და სოფლის მუშაკებს არ სურთ აღიარონ ეს (ხმები: მართალია). ასე გეთქვათ აქამდე, ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ და აშკარად (სიცილი). მაგრამ ეს, ამხანაგებო, მავნე პოლიტიკური შეცდომაა. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ თუ კოლმეურნეს ექნება თავისი დამატებითი მეურნეობა, ეს შექმნის კოლმეურნის „გადაგვარების" საფრთხეს. ეს სისულელეა. რისგან შესდგება ჩვეულებრივად ეს დამატებითი მეურნეობა? სულ დიდი—ერთი ჰექტარი მიწისაგან, ძროხისაგან (ისიც ყველას როდი ჰყავს), ღორისა და ცხვარისაგან (არც ეს ყავს ყველას) და ქათმებისაგან. იმის შიში, რომ კოლმეურნე გაიჩენს ფუტკარს, შინაურ კურდღლებს, ქათმებს და სხვ. უსაფუძვლოა, მით უფრო, რომ საწარმოო საშუალებანი კოლმეურნეობას აქვს. კოლმეურნეთა საკარმიდამო დამატებითი მეურნეობის განვითარება დიდათ არის დამოკიდებული კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების ყურადღებაზე. კოლმეურნეობაზეა დამოკიდებული კოლმეურნის დამატებითი მეურნეობის განვითარება სხვა მხრითაც: ინდივიდუალურ დამატებით მეურნეობაში მუშაობისათვის საჭირო დროის აღრიცხვა, აგრო და ზოოდახმარება და სხვ. ზოგიერთმა ამხანაგმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამორეკოს თავიდან „მომემარცხენო" ხასიათის სისულელე, თითქოს დამატებითი საკარმიდამო მეურნეობის განვითარება ძირს გამოუთხრის კოლმეურნეობას. ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავეთ სდგას პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საკითხი. მთელ რიგ ადგილებში მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელიც უშვებენ ორგვარ შეცდომებს: ისინი ან წინააღმდეგი არიან საერთოდ იმის, რომ კოლმეურნეობამ ხელი მიჰყოს მეცხოველეობას—უძროხოდ. კოლმეურნეობაში როგორღაც უფრო მარტივი და დამშვიდებული მდგომარეობაა,—ან ისინი მზად არიან კოლმეურნეს წაართვან არა მარტო ძროხა, არამედ ხბოც, მიდიან ასეთი „მემარცხენი" გლეხთან და ართმევენ მას ძროხას ან ხბოს.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა კატეგორიული დადგენილება პირუტყვის იძულებითი განსაზოგადოების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ის, რაც არა ერთხელ უთქვამს თვითეულ კოლმეურნეს უნდა ჰყავდეს თავისი ძროხა. კოლმეურნეობამ პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს საკოლმეურნეო მეცხოველეობის მოთხოვნილებანი და შემდეგ უნდა დაეხმაროს კოლმეურნეს საქვებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ საკმაო დრო გავიდა, იგი ჯერ კიდევ არ არის ყველგან განხორციელებული. თავის თავად ცხადია, რომ დამატებითი მეურნეობის დაშვება არ ნიშნავს იმას, რომ ხელი შევუწყოთ ანტისაზოგადოებრივ და ანტისაკოლმეურნეო განწყობილებას, რაც გამოიხატება მისწრაფებაში—გადააქციონ დამატებითი მეურნეობა ძირითად მეურნეობად, ხოლო კოლექტიური მეურნეობა-დამატებით მეურნეობად. კოლექტიური მეურნეობა როგორც ძირითადი მეურნეობის, განმტკიცება და საკარმიდამო მეურნეობის, როგორც დამატებითი მეურნეობის, დაშვება,—აი ამოცანა, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე.

II

გავაძლიეროთ საკოლმეურნეო მშენებლობის კონკრეტული ხელმძღვანელობა და გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობის შიგნით

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ზრდა, დამხმარე საწარმოთა განვითარება კოლმეურნეობებში და სხვ.—ამბობს ამხ. კაგანოვიჩი ყოველივე ეს აყენებს ერთ საერთო საკითხს: კოლმეურნეობათა მოხერხებულ, კონკრეტულ ხელმძღვანელობის და კოლმეურნეობებში გამოცდილი, კეთილსინდისიერი და მოხერხებულ ხელმძღვანელთა კადრების შექმნის საკითხს.

თუ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების გამგეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების და სხვათა კადრებს შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ეხლაც კარგი მუშაკების საგრძნობი ნაწილი გვყავს და თითქმის ნახევარი მათგანის (40 პროც.) ასაკი არის 18—21 წელს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი უდიდესი მიღწევაა, რომელიც მოწმობს იმას, რომ ჩვენში წამოიზარდენ სოციალისტური მეურნეობის ახალგაზრდა ორგანიზატორთა და ენტუზიასტთა ახალი მილიონები. მე ეს აღვნიშნე დღეს საკ. ა.ლ.კ.კ-ის საკავშირო კონფერენციაზე გამოსვლის დროს. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ისინი ახალგაზრდა და გამოუცდელი არიან, ამიტომ მათ კიდევ უნდა ვასწავლოთ, გულდასმით უნდა შევამოწმოთ მათი მუშაობა. ვნახოთ როგორ მიჰყავთ კოლმეურნეობის საქმე, როგორ უძღვებიან კოლმეურნეობას, ვინაიდან ეს საქმე ახალია და მასთან არც ისე მარტივი, როგორც ეს შეიძლება პირველი შეხედვით მოგეჩვენოს. ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ მათ, ვასწავლოთ მეურნეობის გაძღოლა და ამ საქმეში ყოველნაირად ჩავაბათ თვით კოლმეურნეები. ჩვეულებრივად რაიონებში, როცა კადრებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩივიან კომუნისტების ნაკლებობაზე. ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აუცილებლად უნდა წამოაყენონ კომუნისტი. ეს არ არის სწორი შეხედულება. ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებში უსათუოდ საჭიროა უპარტიოთა წამოყენებაც და მათთვის დახმარების გაწევა. მაშინ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების—კომუნისტების—რაოდენობაც გაიზრდება საბჭოთა ხელისუფლების და კოლმეურნეობის საქმის ერთგულ და პატიოსან კოლმეურნეების ხარჯზე.

საზოგადოებრიობა ზოგიერთ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. ამის გამო მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ქურდობა, უყაირათობა. საკოლმეურნეო საზოგადოებრიობის სუსტად განვითარება იწვევს მრავალ შემთხვევაში მეტად არასასურველ მოვლენებს, რომლებიც ძირს უთხრიან კოლმეურნეობებს და ხშირად სახელს უტეხენ თვით საკოლმეურნეო მოძრაობას, თვით მოსკოვშიაც კი, სადაც გვყავს ყოველგვარ ინსტრუქტორების, ინსპექტორების და კონტროლიორების დიდძალი რაოდენობა, სადაც არის მრავალრიცხოვანი საკონტროლო ორგანიზაციები და დაწესებულებები ჩვენ, ზოგიერთ შემთხვევაში, ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა იპარავენ და იტაცებენ საქონელს და პურს. მით უფრო მეტი სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ ჩვენ სოფლად, კოლმეურნეობათა მიმართ, რომელთა კონტროლიორის მოწყობა ჩვენთვის საგრძნობლად უფრო ძნელია. ამის გამო ჩვენი ამოცანაა: მაქსიმალურად განვავითაროთ საზოგადოებრიობა კოლმეურნეობაში, გავაძლიეროთ კონტროლი, განვამტკიცოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრები. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩავაბათ ქალაქისა და სამრეწველო ცენტრების პარტიის წევრთა ფართო მასები იმ უდიდეს ამოცანების გადაჭრაში, რომლებსაც ჩვენ ვაყენებთ სასოფლო მეურნეობის დარგში. ისინი განუყოფელი არიან ერთმანეთისაგან. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განუყოფელი არიან. ეს არის დედა აზრი პარტიის გენერალური ხაზისა, რომელმაც დაამარცხა, ერთის მხრით ტროცკიზმის და მეორეს მხრით. მემარჯვენე უკლონისტების მავნე ანტიპროლეტარული ტენდენციები, რომლებიც თავისებურად უპირისპირებდენ ერთმანეთს სოფლის მეურნეობას და მრეწველობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ცალკე კოლმეურნეების მდგომარეობასთან, მათდამი დამოკიდებულებასთან და მათ როლთან კოლმეურნეობაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხებს ჩვენ სრულიად არასაკმაო ყურადღებას ვაქცევთ. ჩვენ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ თვით კოლმეურნეს, უნდა გამოვიჩინოთ მზრუნველობა მის მიმართ, ჩავწვდეთ მისი ცხოვრების ეგრეთწოდებულ „წვრილმანებს", მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ მას ქონდეს აბანო, საკოლმეურნეო კლუბი და სხვ. ის არ უარყოფს იმას, რომ კოლმეურნეობაში ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მანქანებზე, მიწაზე და შენობებზე. ყველა იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ ვმუშაობთ კოლმეურნეობებში შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე, როცა ვიხილავთ გათანაბრებასთან და გაუპიროვნებასთან ბრძოლის საკითხებს და სხვ. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ კოლმეურნეთა ნებისყოფა, ენერგია და ინიციატივა, უნდა შთავუნერგოთ მათ სიმხნე და იმის რწმენა, რომ ისინი აკეთებენ თავიანთ საკუთარ და მასთან საერთო საქმეს, მათი პირადი ინტერესი უნდა შევათანხმოთ მთელი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ყველა მშრომელების ინტერესებთან. მაგალითად საჭიროა თუ არა ბოსელის აშენება, რამდენი უნდა დაიხარჯოს წელს კაპიტალურ მშენებლობაზე და სხვა,—აი ასეთ საკითხებზე აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ კოლმეურნეების კრება და გავიგოთ მათი აზრი. კოლმეურნეობის გამგეობამ არც ერთი მანეთი არ უნდა დახარჯოს კოლმეურნეების, მათი საერთო კრების თანხმობის გარეშე.

ეხლა მე მინდა შევჩერდე სპეციალურ საკითხზე—შრომა-დღეზე. ყოველთვის, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ კოლმეურნეობაზე, ვლაპარაკობთ შრომა-დღეებზეც. ყველას არა აქვს ნათლად წარმოდგენილი რა არის შრომა-დღე და რაშია შრომა-დღეებზე გადასვლის სირთულე. გასულ წელს კოლმეურნეების პროდუქტებს ვაძლევდით არა შრომა-დღეების მიხედვით, არამედ სულადობის ნორმების მიხედვით. წელს ჩვენ პროდუქტები და შემოსავალი ზუსტად უნდა გავანაწილოთ კოლმეურნის მიერ გამომუშავებულ შრომა-დღეების მიხედვით. ჩვენ აქ წინ გვეღობება მთელი რიგი სიძნელეები. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია შრომა-დღეების ანგარიშში ავანსების გაცემის საკითხი. მოსავლის აღებისა და პურის დამზადების კამპანიის საკითხების შესახებ ცენტრალურ კომიტეტთან მოწვეულ სპეციალურ თათბირზე გადავწყვიტეთ კოლმეურნეებს შემოსავლის სასურსათო ნაწილის ანგარიშში, ავანსები მივცეთ არა ნაკლებ ფაქტიურად გალეწილი პურის 15 პროცენტის რაოდენობით. ავანსების გაცემა უნდა მოხდეს შრომა-დღეების მიხედვით. ჩვენ კოლმეურნეობებში ვტოვებთ პატარა რეზერვს მანევრირებისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის. ეს ფართოდ უნდა განვუმარტოთ კოლმეურნეებს, ვინაიდან ისინი დაინტერესებული არიან ამით. გადაჭრით უნდა მოსპოთ კოლმეურნეებისათვის შრომა დღეების ანაზღაურების ფულადი ნაწილის, კერძოდ ფულადი ავანსების მიცემის დაგვიანება. ამჟამად, მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებით საჭიროა კოლმეურნის დაინტერესება როგორც ნატურალური, ისე ფულადი ავანსის თავის დროზე მიცემით შრომა-დღეების ანგარიშში.

ერთი წუთითაც არ უნდა შევასუსტოთ მუშაობა ინდივიდუალური მეურნეების ჩასაბმელად კოლმეურნეობებში. ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს კოლმეურნეობათა წარმოების სანიმუშო დაყენებით, ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით კოლმეურნეობის უპირატესობათა დამტკიცებით, რისთვისაც საჭიროა მასიური პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება, ამავე დროს უნდა ვებრძოლოთ გადახვევებს, ადმინისტრატიულ ზეგავლენას და რევოლიუციონური კანონიერების დარღვევის ყოველგვარ ცდებს. ამასთან ინდივიდუალურ მეურნეს არავითარ შეღავათებს არ მივცემთ კოლმეურნესთან შედარებით, ვინაიდან, პირიქით, ვახორციელებთ რა განსაზღვრულ პოლიტიკას სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში, შეღავათები უნდა მივცეთ კოლმეურნეობებს ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. ამავე დროს საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ მასიურპოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეებთან, უფრო მაღლა ავსწიოთ კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების საქმე, გავაძლიეროთ ყურადღება მათი ყოველდღიური საჭიროებისადმი. ამით ჩვენ უეჭველად განვამტკიცებთ კოლმეურნეობებს, გავაძლიერებთ მშრომელი გლეხების ახალი მასების ჩაბმას კოლმეურნეობაში და დიდათ წავწევთ წინ საკოლმეურნეო მშენებლობას.

მთელ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ არ სუსტდება. პირიქით, კულაკობის წინააღმდეგობა ზოგჯერ ცალკე ადგილებში ძლიერდება. კულაკი და სპეკულიანტი შეეცდებიან თავისებურად გამოიყენონ საკოლმეურნეო ვაჭრობა და ჩააგონონ ყველაზე უფრო მერყევ კოლმეურნეებს გამოვიდენ კოლმეურნეობიდან. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვაგრძოთ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკისა და სპეკულიანტის წინააღმდეგ, აგრეთვე გადაჭრით ავკვეთოთ ჩვენი ღონისძიებებისათვის წინააღმდეგობის გაწევა კულაკის მხრით. მისი ყოველგვარი ცდა—ჩაშალოს ჩვენი მუშაობა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის და მოსავლის აღების, პურის დამზადების და სხვა კამპანიების ჩატარებისათვის. მტკიცე დავალებების მიცემის პრინციპს ჩვენ წელსაც ვტოვებთ ძალაში.

III

მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიები—კოლმეურნეობათა შემდგომი ზრდისა და განმტკიცების მძლავრი ბერკეტია

მოსავლის აღების კამპანიას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. უდიდესი შეცდომა და დანაშაული იქნებოდა ჩვენის მხრივ, რომ ჩვენ ახლა დავმშვიდდეთ იმაზე, რომ რახან გაზაფხულის თესვა კარგათ ჩავატარეთ, შეგვიძლია გულხელდაკრეფილი ვიყოთ და ამ წარმატებებს არ ვამტკიცებდეთ მოსავლის აღების კამპანიის დროულად მომზადებით და კარგი ორგანიზაციით. მოსავლის აღება წარმოადგენს უაღრესად საპასუხისმგებლო და უძნელეს სასოფლო-სამეურნეო კამპანიას. განსაკუთრებული მნიშვნელობა მას აქვს ჩვენი ოლქისათვის, სადაც მოიპოვება შრომის ტევად კულტურებისა და ბოსტნეულის დიდი რაოდენობა.

ამავე დროს კი უკვე ახლავე უნდა აღინიშნოს, რომ გათოხვნა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ამიტომ ცენტრალურ სადღეისო ამოცანას წარმოადგენს გათოხვნის გაძლიერება, რაზედაც დამოკიდებულია მოსავლის ხარისხი და კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდება. მოსავლის აღების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა დანაკარგებთან. ეს შეეხება ყველა კულტურებს. რაც შეეხება ხორბლეულს, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკის ჩატარება ადრიანად, რადგან ეს საშვალებას მოგვცემს ნაკლები ხორბალი დავკარგოთ და სწრაფად გადავიდეთ უფრო გვიანი კულტურების აღებაზე. მოსავლის აღებად ხშირად გულისხმობენ მხოლოდ თივის აღებას. ამასთან ივიწყებენ ხორბლის აღებას. ამავე დროს კი, მოსკოვის ოლქს აქვს 3 მილიონ ჰექტარამდე სათიბი და 1 მილიონ ჰექტარამდე შესაძლებელი სათიბი ტყეებში კარგი ბალახეულით. თიბვა ჩვენთან ძლიერ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაჭიანუროთ თიბვა, რადგან კარზე გვაქვს მომდგარი ხორბლეულის აღება.

პარტიის ცეკაში მოწვეული იყო ნაციონალურ კომპარტიების, სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეთა და სხვ. სპეციალური თათბირი. ამ თათბირზე ჩვენ ზედმიწევნით ყურადღებით განვიხილეთ მომავალი მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებული და, განსაკუთრებით, პურის მომავალი დამზადების საკითხები. ამ თათბირის მთავარ ღერძს წარმოადგენდა ისეთ ღონისძიებათა დამუშავება, რომლებიც უზრუნველყოფდენ ჩვენთვის კონკრეტულ მიდგომას თითეული რაიონისადმი, თითეული კოლმეურნეობისადმი, რომლებიც დაგვიცავდენ ჩვენ იმ შეცდომების განმეორებისგან, რომელთაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ რაიონებში.

საკ. კ.პ. (ბ) ცეკასთან მოწვეული თათბირის მუშაობას საფუძვლად დაედო ამხ. სტალინის მითითებები.

ამხ. სტალინმა ხაზი გაუსვა განვლილი წლის პურის დამზადების პრაქტიკის ნაკლოვანებებს ზოგიერთ ოლქებსა და რაიონებში და აგრეთვე წამოაყენა საკითხები, რომლებიც შეეხება არა მარტო პურის დამზადებას, არამედ საერთოდ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის პრაქტიკის გაუმჯობესებას. ცეკას დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ზოგიერთ ოლქებისა და რაიონების მთავარი შეცდომა განვლილი წლის პურის დასამზადებელ მუშაობაში იმაში მდგომარეობდა, რომ პურის დამზადების გეგმა გაწერილი იყო რაიონებსა და კოლმეურნეობების მიხედვით, ტარდებოდა არა ორგანიზაციულად, არამედ სტიქიურად, გათანაბრების „პრინციპის" საფუძველზე, მექანიკურად, თითეულ ცალკე რაიონში და კოლმეურნეობაში არსებულ მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. ამის შედეგი იყო ის, რომ ცალკე სუსტი რაიონები იღებდენ გადიდებულ გეგმებს, უფრო მძლავრი რაიონები კი შემცირებულ გეგმებს.

ცეკა წინადადებას იძლევა პურის დამზადების გეგმები დაყვანილ იქნას რაიონამდე და კოლმეურნეობამდე არა მექანიკურად და გათანაბრების საფუძველზე, არამედ თითეული რაიონის, თითეული კოლმეურნეობის ყველა თავისებურებათა გათვალისწინებით. ჩვენ სახელმძღვანელოდ უნდა მივიღოთ ეს უმნიშვნელოვანესი მითითებები და ვუჩვენოთ ამხ. სტალინის მითითებების პრაქტიკულად გატარების ნიმუშები მოსკოვის ოლქში. ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კონკრეტულად არ შევისწავლია ყველა კოლმეურნეობები და ხშირად არ ვიცით, როგორ მიუდგეთ მათ. უფრო მე-

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსავლის აღება და დამზადება მიმდინარეობს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. კლასობრივი მტერი, პირველ რიგში კულაკი, რომელიც ჩვენ დავამარცხეთ, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი, შეეცდება გამოიყენოს თითეული ჩვენი შეცდომა ადგილობრივი მუშაკის ყოველი ხეპრული ნაბიჯი, რომ აწარმოოს თავისი მავნებლური მუშაობა, რომ გახრწნას ცალკე მერყევი კოლმეურნეები. კულაკურ ჩვენი ამოცანაა გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწიოთ კულაკების ოინებს და სოფლად უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიების—მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიების სანიმუშო ორგანიზაციით, კონკრეტული ხელმძღვანელობით და ბოლშევიკურად გატარებით მივაღწიოთ კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას და ზრდას და სოციალისტური შეტევის შემდგომ გაძლიერებას.

IV

საბჭოთა კავშირი საბოლოოდ გამაგრდა ახალ სოციალისტურ გზაზე. მოვახდინოთ ყველა ძალების მობილიზაცია შემდგომი წინსვლისათვის

დასასრულ შევჩერდები ზოგიერთ საერთო საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და საბჭოთა ვაჭრობის გაშლის შესახებ ს.კ.პ. (ბ) ცეკას და საკავშირო სახკომსაბჭოს უკანასკნელ უმნიშვნელოვანეს დადგენილებებთან. უკანასკნელი ორი-სამი თვის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ჩვენი პარტიის ცეკას და მთავრობის უმაღლეს ორგანოების ერთი ათეული ნახევარი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები. სხვათა შორის სასარგებლო იქნებოდა ყველა ამ გადაწყვეტილებების გამოცემა ერთ წიგნაკათ, რათა პარტიის ყოველ წევრს შეეძლოს მათი შესწავლა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ცოდნა კავშირის პოვნისა ყველა ამ გადაწყვეტილებებს შორის, ცოდნა იმ საერთოს იმის პოვნისა, რაც მათ აკავშირებს,—მეტად მნიშვნელოვანია. რომელიმე უბადრუკი „თეორეტიკოსი" იმ მოვლენიდან, რომ არსებობს მთელი რიგი გადაწყვეტილებები, გამოტანილი ერთი მეორეზე, აგრეთვე გამოტანილი თუ მთლიანად ერთი დაწესებულების მიერ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი დირექტივით, დაიჩქარებს გააკეთოს დასკვნა: აჰა, ეს უკვე „შეხედულებათა სისტემაა". და რახან არის „შეხედულებათა სისტემა", მაშასადამე, ეს სისტემა ეწინააღმდეგება შეხედულებათა იმ სისტემას, რომელიც წინად არსებობდა. სხვა „აგრეთვე თეორეტიკოსები" — ოპორტუნისტები — დაიჩქარიან გამოიგონონ იარლიკი ამ „შეხედულებათა ახალი სისტემისათვის": „ნეონეპი", ან სხვა რაიმე ამგვარი. რასაკვირველია, ეს ხალხი პირდაპირ სასაცილოა და ხშირად ისე, რომ ამას თვითონაც არ გრძნობენ, იმეორებენ ბურჟუაზიულ კალმოსნების ზღაპრებს. არიან პარტიის ისეთი წევრები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომელთაც კარგათ ვერ გაუგიათ ამ გადაწყვეტილებათა აზრი, მათი ორგანიული კავშირი ჩვენი პარტიის ყველა წინანდელ გადაწყვეტილებებთან. მათი როლი გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში. ამ ამხანაგებს მოვაგონებთ რამდენიმე ფაქტს.

ჯერ კიდევ 1930 წლის 10 მარტს დადგენილებაში—საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის დამახინჯვების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ცეკა წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს აიკრძალოს ბაზრების დახურვა, განახლებულ იქნას ბაზრები და არ იქნას დაბრკოლებული გლეხების მიერ, მათ შორის კოლმეურნეთა მიერაც ბაზარზე თავიანთი პროდუქტების გაყიდვა".

შემდეგ გვაქვს ცეკას, სახკომსაბჭოს და ცენტროსოიუზის 1931 წლის 12 მაისის დადგენილება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ, ცეკას 1931 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება „მუშათა მომარაგების გაშლის შესახებ" და სხვ. დაბოლოს მე-17 პარტკონფერენციაზე რეზოლიუციაში მეორე ხუთწლედის შესახებ პარტიამ სთქვა, რომ „მხოლოდ საქონლის ბრუნვის გაშლის საფუძველზე არის შესაძლებელი მუშათა და სოფლის მშრომელთა სამრეწველო საქონლითა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების შემდგომი სწრაფი გაუმჯობესების უზრუნველყოფა, რისთვისაც თავის მხრივ საჭიროა მაღაზიების, დუქნების და მთელი სავაჭრო ქსელის ყოველმხრივი გაფართოება, მისი აუცილებელი ტეხნიკური რეკონსტრუქციის ჩატარებით. მხოლოდ ამ საფუძველზე არის შესაძლებელი საქონლის ნორმირებული გაცემის გაუქმების მომზადება და ცენტრალიზებული განაწილების შეცვლა გაშლილი საბჭოთა ვაჭრობით" ეს ფაქტები გვეუბნებიან იმას, რომ უკანასკნელი გადაწყვეტილებები წარმოადგენენ პირდაპირ გაგრძელებას და შემდგომ რეალიზაციის ხაზისა საქონლის ბრუნვის გასაშლელად და მისი საშუალებით მუშების, კოლმეურნეების და ყველა მშრომელების მრეწველობის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების გადაჭრით გასაუმჯობესებლად. აქედან გამომდინარეობენ ჩვენი გადაწყვეტილებები და ჩვენი მითითებები პურისა და ხორცის სახელმწიფო დამზადების გეგმების რამდენიმედ შემცირების და კოლმეურნეებისა და კერძო მშრომელ გლეხებისათვის თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის ნებართვის მიცემის შესახებ სახელმწიფო დამზადების გეგმების შესრულების შემდეგ, ფართო მოხმარების საგნების წარმოების მაქსიმალურად გაშლის შესახებ.

ყველა ეს გადაწყვეტილებები განხილულ უნდა იქნას მჭიდრო კავშირში ჩვენს წარმატებებთან ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის დარგში, მჭიდრო კავშირში სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წარმატებებთან მთლიანად, და აგრეთვე მჭიდრო კავშირი კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების ამოცანებთან. თქვენ იცით, რომ ჩვენმა პარტიამ მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლის დაწყებიდანვე აიღო კურსი კოლმეურნეობის საარტელო ფორმაზე. ამ დროიდან პარტია თავის გადაწყვეტილებებში და ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში განუწყვეტლივ სცემს სწორედ ამ წერტილში: კოლექტივიზაციის განვითარების ეხლანდელ სტადიაზე სასოფლო-სამეურნეო არტელი წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმას. ამხ. სტალინმა წერილში „თავბრუ დახვევა წარმატებებისაგან" განმარტა, თუ რატომ არის სასოფლო-სამეურნეო არტელი საკოლმეურნეო მოძრაობის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა: „საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი რგოლი,—სწერდა ის,—მისი მთავარი ფორმა ეხლანდელ მომენტში, რომელსაც ჩვენ ხელი უნდა ჩავსჭიდოთ, არის სასოფლო-სამეურნეო არტელი სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულია წარმოების ძირითადი საშუალებები, უმთავრესად ხორბლეული მეურნეობის დარგში: შრომა, მიწადსარგებლობა, მანქანები და სხვ. ინვენტარი, მუშა საქონელი, სამეურნეო ნაგებობანი. მასში განსაზოგადოებული არ არის საკარმიდამო მიწები (წვრილი ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი ბინები, მეწველი საქონლის გარკვეული ნაწილი, წვრილი პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ. არტელი იმიტომ წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს, რომ იგი არის ხორბლეულის პრობლემის გადაჭრის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა!

ესევე დაადასტურა პარტიის მე-16 ყრილობამ და მე-6 საბჭოთა ყრილობამ. ჩვენ შემთხვევით როდი შევჩერდით სასოფლო-სამეურნეო არტელზე, როგორც ძირითად რგოლზე, საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმაზე, მის ეხლანდელ ეტაპზე. სასოფლო სამეურნეო არტელი შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენ შევათავსოთ საზოგადოებრივი ინტერესები მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი გლეხობის ინტერესები ხორბლეულის პრობლემის გადაჭრის საქმეში, სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების უდიდესი გადიდების და გლეხობის შრომის გაადვილების ინტერესები სიღატაკისაგან და კულაკურ კლანჭებისაგან საბოლოოდ განთავისუფლების საქმეში—ღარიბ და საშუალო გლეხების პირად ინტერესებთან. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა შემდეგშიც განვამტკიცოთ საკოლმეურნეო მოძრაობის ეს ფორმა. ეს ნიშნავს, მე ჩემს გამოსვლებში არა ერთხელ აღმინიშნავს ხაზგასმით, თუ როგორ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს ამხ. სტალინი კოლმეურნეობათა განმტკიცებას, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას, კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებას, მუშათა მომარაგების გაუმჯობესებას, ფართო მოხმარების საგნების საკითხებს და სხვ. არ შეიძლება ამ საკითხის აღება განცალკევებით, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლა არ ნიშნავს ცალმხრივ აქტს — კოლმეურნეების მიერ პროდუქტების გაყიდვას მათ მიერ სამრეწველო საქონლის შესაფერად ყიდვის გარეშე. აქედან ამოცანა: არა სიტყვით, არამედ საქმით ნამდვილად მოვკიდოთ ხელი ცეკას და სახკომსაბჭოს იმ გადაწყვეტილების რეალიზაციას, რომელიც შეეხება ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას და მათ მიწოდებას სოფლისათვის. ამის შესაძლებლობები ჩვენ გვაქვს. აქ მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე უკვე იქნა განხილული საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საკითხები, აგრეთვე კოოპერაციის მუშაობის გაშლის საკითხები. მე არ შევეხები საკითხების მთელ ჯამს. მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა, რომ ქალაქისა და სოფლის ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანები მეტად დიდია, მაგრამ მათი შესრულება ჯერ კიდევ ძლიერ სუსტად მიმდინარეობს. განსაკუთრებით შეეხება ეს ქალაქის მუშაკებს. მე აქ სპეციალურად ყურადღება უნდა დავუთმო ქალაქის მუშაკებს, ვინაიდან სოფლისა და აგრეთვე რაიონის მუშაკების შესახებ ბევრი ვილაპარაკე. ავიღოთ ბაზრების საკითხი. ამ დღეებში მე მომიხდა ყოფნა მოსკოვის ზოგიერთ ბაზრებზე. პირდაპირ უნდა ვსთქვა, რომ ისინი ვერ სტოვებენ ხეირიან შთაბეჭდილებას. ვაჭრობენ სადაც შეხვდებათ, ნაკვეთები არ არის განაწილებული ვაჭრობის სახეების მიხედვით, სიბინძურე, ანტისანიტარია. მოსკოვის ქალაქის კომიტეტმა ეხლა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, რომლებიც იმედი მაქვს საგრძნობლად გააუმჯობესებენ ბაზრების მდგომარეობას. კერძო, არბატზე ჩვენ ვაწარმოებთ დახურული ბაზრის მშენებლობას, უნდა მოვახერხოთ მეტროპოლიტენისა და აგრეთვე წყლის არხის მშენებლობის ბოლშევიკურად შეთავსება წმინდა, ელემენტარულად კულტურულ-დახურულ და ღია ბაზრების მშენებლობასთან. რატომ არ შეიძლება მაგალითად ყველა ბაზრების მოასფალტება? ბაზრების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად ჩვენ ეხლა, მოსკოვის ქალაქისა და საოლქო კომიტეტის ბიუროს გაერთიანებულ სხდომის გადაწყვეტილებით, თვითეულ ბაზარზე დავნიშნეთ განსაკუთრებული შეფი, აღჭურვილი სრული ძალაუფლებით: საოლქო და ქალაქის კომიტეტის ბიუროს წევრები, საოლქო აღმასკომის, ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეები, აგრეთვე მათი მოადგილეები, მდივნები და სხვ. თუ მუშები ეჯიბრებიან ერთმანეთს, რატომ არ უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს ჩვენ ბაზრების უკეთ მოწყობაზე და შემდეგ შედეგები გამოვაქვეყნოთ პრესაში პორტრეტების მოთავსებით? (სიცილი, ტაში). მაგრამ ეს არ არის საკმაო. საჭიროა ბაზრების გავსება საქონლით. ძირითად ამოცანას ახლა წარმოადგენს ყოველმხრივ ხელის შეწყობა პროდუქტების მიზიდვისათვის ბაზარზე. ამ მიზნით ჩვენ მივდივართ იმაზე, რომ 50 ვერსიანი ზონა მოსკოვის გარშემო გავანთავისუფლოთ სახელმწიფო დამზადებისაგან და აგრეთვე კონტრაქტაციისაგან, გარდა პურისა. მე არ მქონდა შესაძლებლობა უკანასკნელ დროს ვყოფილიყავი ოლქის სხვა ქალაქების და რაიონულ ცენტრების ბაზრებზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ისინი მოსკოვზე უკეთ არ მუშაობენ. უფრო შესაძლებელია, რომ საქმე იქ უფრო ცუდადაა დაყენებული. მთავარი ამოცანა ბაზრებისათვის ოლქში იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი პროდუქტების მოზიდვას კოლმეურნეობებიდან, სოფლებიდან. მეორე უმნიშვნელოვანეს ამოცანას კი მოსკოვისა და ოლქისათვის წარმოადგენს ფართო მოხმარების საგნების წარმოების ყოველმხრივ გაშლა და აგრეთვე მისი მიწოდება მომხმარებლისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია საქონლის ასორტიმენტის და სპეციფიკაციის საკითხები, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ საქონლის მიყვანა მომხმარებლამდე — კოლმეურნემდე, ღარიბ და საშუალო გლეხამდე. საჭიროა ყოველმხრივ, განსაკუთრებით სარეწაო კოოპერაციის ხაზით, განვავითაროთ ახალი წარმოებანი, რომლებიც ამზადებენ ფართო მოხმარების საგნებს. შესაძლებლობანი ამ მხრივ ჩვენ ძლიერ დიდი გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია ფართოდ მოვაწყოთ წარმოება ავეჯის დასამზადებლად, ფეხსაცმელის, სხვადასხვა წვრილი ნივთების, საოჯახო საგნების და სხვ. წარმოება, რისთვისაც ფართოდ გამოვიყენოთ წარმოების სხვადასხვა ნარჩენები. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეგრედ წოდებულ საუტილიზაციო ცეხებს და აგრეთვე სარეწაო კოოპერაციას. ჩვენში შეეჩვიენ ყოველი უბრალო რამისათვის ეძლონ ლითონის ახალი ნაჭერი, მთელი ნაჭერი ტყავი, რეზინა ამ მანუფაქტურა. ამავე დროს კი ძლიერ ბევრი ნივთის გაკეთება შეიძლება ამ ნედლეულთა წვრილ ნაჭრებიდან.

საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვებებმა საგრძნობლად განამტკიცა მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან საწარმოო ბაზაზე (სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, კოლმეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მომარაგების საშუალებით და სხვ.). საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლა კიდევ უფრო გაამაგრებს ამ კავშირს საქონლის ბრუნვის მხრივ. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ კულაკობასთან ბრძოლის ამოცანა ახლა არ სდგას ისე მწვავედ, როგორადაც იგი იდგა ჩვენში უკანასკნელ დრომდე. ეს არის ტლანქი შეცდომა. განსაკუთრებით მოსკოვის ოლქის მიმართ, სადაც კულაკი არ არის საბოლოოთ განადგურებული, სადაც მას შეუძლია შეეცადოს გაშალოს თავისი საქმიანობა იმ ცალკე გლეხებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ კოლმეურნეობაში არ შესულან.

საკოლმეურნეო ვაჭრობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ბერკეტს კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად, მაგრამ ცუდი ორგანიზაციის პირობებში მას შეუძლია მოგვიტანოს ჩვენთვის უარყოფითი შედეგები, თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ და დროზე არ მივიღებთ შესაფერ ზომებს. კულაკი და სპეკულიანტი შეეცდებიან თავისებურად მოაბრუნონ საკოლმეურნეო ვაჭრობა, წააქეზონ კოლმეურნენი კოლმეურნეობიდან გამოსვლაზე. შეეცდებიან დარაზმონ თავისი ძალები—ლახვარჩაცემული, დაშლეთილი ძალები, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალნი. ამიტომ ბოლშევიკური სიფხიზლე და საკოლმეურნეო აქტივის ორგანიზაცია, აგრეთვე ყველა კოლმეურნეთა ორგანიზაცია, დარჩენილ ცალკე გლეხებისაგან კოლმეურნეობათა მხარეზე საუკეთესო ადამიანების დაპყრობა. ბრძოლა კულაკთან და მის ანტისაკოლმეურნეო და კონტრ-რევოლიუციონურ ანტისაბჭოთა მოქმედებასთან უნდა დაისვას ჩვენს წინაშე როგორც ახალი საკოლმეურნეო სისტემის განმტკიცების და ამით პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი მებრძოლი ამოცანა. ამხ. სტალინი მიუთითებდა, რომ, თუ ბურჟუაზიული კანონები მიმართული იყო კერძო საკუთრების დასაცავად, ჩვენი კანონები მიმართულია საზოგადოებრივი საკუთრების, კოლმეურნეობათა საკუთრების დასაცავად, თვით კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად. რევოლიუციონურ კანონიერებას ჩვენ გამოვიყენებთ იმათთან საბრძოლველათ, ვინც არღვევს კოლმეურნის ინტერესებს, ვინც უშვებს თვითნებობას მშრომელ გლეხების მიმართ, მაგრამ რევოლიუციონური კანონიერება მთელი თავისი მახვილით მიმართული იქნება იმ კულაკების წინააღმდეგ, რომლებიც წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა შეეცდებიან დარაზმონ თავიანთი ძალები კოლმეურნეობათა წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ზოგიერთ ამხანაგებს ებადება ეჭვი: ხომ არ გამოიწვევს საკოლმეურნეო ვაჭრობა კოლმეურნეთა წვრილ მესაკუთრულ დაგროვებათა გაძლიერებას, კულაკობის გაძლიერებას. ასე ფიქრი ნიშნავს საკოლმეურნეო მოძრაობის, როგორც თავისი ტიპით სოციალისტურ მოძრაობის შეუფასებლობას. რასაკვირველია, კოლმეურნე ჯერ კიდევ არ არის სოციალისტი, მასში ჯერ კიდევ ძლიერია კერძო მესაკუთრული ინსტინქტები. ამხ. ლენინს და აგრეთვე ამხ. სტალინს არა ერთხელ მოუგონებია, რომ კოლმეურნეობაზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რათა იგი სოციალისტურად აღვზარდოთ. კოლმეურნეობები ამ მხრივ ქმნიან ყველა აუცილებელ პირობებს. იმ დაგროვებას, რომელიც ექნება კოლმეურნეს, ის ვერ შესძლებს ექსპლოატაციის საშუალებით გადაქცევას, ვინაიდან წარმოების საშუალებანი მას განსაზოგადოებული აქვს კოლმეურნეობაში. ის საშუალებები, რომელსაც კოლმეურნე მიიღებს საკოლმეურნეო დამატებითი მეურნეობისაგან და აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობიდან, საშუალებას მისცემენ მას უკეთესად იცხოვროს, უკეთესად სჭამოს, იქონიოს უკეთესი ტანსაცმელი, უკეთესად ჩააცვას ბავშვებს, დაიკმაყოფილოს თავისი კულტურული საჭიროებები. ამის შიში ან ამის საწინააღმდეგო სურვილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მშრომელ გლეხობის მტერს, კოლმეურნეთა მტერს, ჩვენ—ბოლშევიკები მთელს ჩვენ მუშაობას მივმართავთ იქითკენ, რომ გიგანტურ სამეურნეო წარმატებების, მთელი ქვეყნის მატერიალურ კეთილდღეობის ზრდის საფუძველზე მივაღწიოთ უკეთეს ცხოვრებას მუშებისათვის, კოლმეურნეებისათვის, ყველა მშრომელებისათვის იმ მიზნით, რომ მათ ქონდეს მეტი პროდუქტები თავის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, რომელიც იზრდება, რომ ისინი მატერიალურ და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მხრივ ისევე, როგორც მთელ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და საწარმოო ცხოვრებაში უფრო მეტად და მეტად გრძნობდენ თავს ახალი ცხოვრების მშენებლად, სოციალიზმის მშენებლებად. და აი ახლა, როცა ჩვენ მთელი სიგრძე-სიგანით დავსვით ჩვენს წინაშე ეს ამოცანები, როცა გიგანტურად გაზრდილი მეურნეობის საფუძველზე ჩვენ მივიღეთ შესაძლებლობა ეს ამოცანები პრაქტიკულად გადავჭრათ ყოველდღიურ მუშაობაში, მოიპოვებიან „ჭკვიანები", რომლებიც კითხულობენ: „ხომ არ ნიშნავს ეს 1921 წლის ვაჭრობისაკენ დაბრუნებას"-ო? და სხვ. ასეთი, ეს ხალხი ივიწყებს ისეთ „წვრილმანებს", როგორც არის გრანდიოზული გამარჯვებები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში, როგორც არის საკოლმეურნეო მოძრაობის გადამწყვეტი გამარჯვებები, როგორც არის კერძო კაპიტალის სრულიად გამოძევება წარმოებიდან და აგრეთვე ბრუნვიდან, როგორც არის ისტორიული კითხვის „ვინ-ვის" საბოლოოდ და სამუდამოდ გადაწყვეტა სოციალიზმის სასარგებლოდ. საკმაოა ყველა ამ ფაქტების გახსენება, რომ სრულიად დავუკარგოთ ამ ხალხს ხალისი ეძიონ 1932 წლის საბჭოთა ვაჭრობის ფორმალური შედარებები 1921 წლის ვაჭრობასთან და აგრეთვე ცარიელი ლაყბობის ხალისი. თქვენ გახსოვთ, როგორ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი მრეწველობა 1921 წელში, როცა მასიური წარმოების თითქმის მთავარ სახეს წარმოადგენ და „ზაჟიგალკები". მთელი 1921 წლის განმავლობაში ცენზიანი მრეწველობის სრული პროდუქცია 1926—27 წლის ფასებში შეადგენდა მხოლოდ 1,9 მილიარდ მანეთს, 1928 წელს—14,7 მილიარდს (იმავე ფასებში), 1929 წელს—18,3 მილიარდს, 1930 წელს—23 მილიარდს, 1931 წელს—27,9 მილიარდს, 1932 წელს კი გეგმით—37 მილიარდ მანეთს ე. ი. 11 წლის განმავლობაში ზრდა აქვს თითქმის 20-ჯერ, სამი წლის განმავლობაში კი თითქმის სამჯერ. ამასთან ერთად წარმოების საშუალებათა ხვედრითი წონა 27 პროცენტიდან (1927—28 წელში) გაიზარდა 52 პროცენტამდე (1932 წელში). მართალია, ეს გვიჩვენებს, რომ ფართო მოხმარების საგნების წარმოების ხვედრითი წონა შემცირდა (თუმცა აბსოლიუტურ მასაში იგი არაჩვეულებრივად გაიზარდა), მაგრამ ეს არის აუცილებელი შედეგი ჩვენი ბრძოლისა მთელი ქვეყნის ტეხნიკური სოციალისტური რეკონსტრუქციის საკუთარი ბაზის შექმნისათვის. საამაგიეროთ, ჩვენ ეხლა გვაქვს შესაძლებლობა, რაც შეგვიძლია მივაწვეთ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაშლას. ამხ. სტალინი ამ ამოცანას აყენებდა პარტიის მე-16 ყრილობაზე:

„მძიმე ინდუსტრია ჩვენ უკვე აღვადგინეთ,—ამბობდა ის,—საჭიროა მხოლოდ მისი შემდგომი გაშლა. ახლა ჩვენ შეგვიძლია მოვბრუნდეთ მსუბუქ ინდუსტრიისაკენ და ისიც წავსწიოთ წინ დაჩქარებული ტემპით". ცეკას და სახკომსაბჭოს უკანასკნელი გადაწყვეტილებები იმ გადაწყვეტილებებთან ერთად, რომელიც შეეხება ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაშლას, წარმოადგენენ პირდაპირ გაგრძელებას და განვითარებას ამ დებულებებისა, რომლებიც აღნუსხულია მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებში. 1921 წლის სოფლის მეურნეობაში, როგორც ამხ. ლენინი სწერდა, ჩვენში სჭარბობდა წვრილი სასაქონლო გლეხური მეურნეობა. ახლა კი რა გვაქვს ჩვენ? ჩვენ გვაქვს უდაოდ კოლმეურნეობების აგრეთვე საბჭ. მეურნეობების სრული გამარჯვება. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა სჭარბობს ნათესების მთელი ფართობის 80 პროცენტს, კერძო გლეხებისა კი შეადგენს სულ რაღაც 20 პროცენტს. შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი საბოლოოდ გამაგრდა ახალ სოციალისტურ გზაზე და სოციალიზმის გადამწყვეტი გამარჯვება საბჭოთა კავშირში უკვე დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს (ტაში).

ამხანაგებო, რასაკვირველია ჩვენ გვაქვს სიძნელეები. ამ სიძნელეებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე თესვის კამპანიაში, ეს სიძნელეები არის მომარაგების საქმეში, განსაკუთრებით ისეთი საქონლის მომარაგების საქმეში, როგორიც არის ხორცი, რძის პროდუქტები და სხვ. ჩვენ ამ სიძნელეებს ვხედავთ და ვებრძვით მათ და აგრეთვე ვძლევთ მას, რასაც განსაკუთრებით მოწმობს გაზაფხულის თესვის კამპანიის შედეგები. მუშათა კლასმა და საკოლმეურნეო გლეხობამ ბოლშევიკური პარტიისა და მისი ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით ჯერ არნახულ წარმატებებს მიაღწია. ამიტომ ახალი, გაცილებით ნაკლები სიძნელეები, რომლებიც ჩვენს გზაზე დგას, ხელს ვერ შეუშლიან ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვის ბოლშევიკები მოახდენენ ყველა თავისი ძალების, თავისი უნარის, თავისი მდიდარი გამოცდილების მობილიზაციას ცეკას მითითებების ცხოვრებაში გასატარებლად, სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების გადასაჭრელად, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში, და ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ბოლშევიკებს, როდესაც ისინი მიდიან შემჭიდროებული რიგებით თავისი ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით (მხურვალე, ხანგრძლივი ტაში).

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

უზრუნველვყოთ სკოლები ბინებით, მასწ. კადრებით, სახელმძღვანელოებით და პოლიტეხნიკური ინვენტარით

სახალხო განათლებისა და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანები *)

მე-15 პარტყრილობის მიერ დასახული კულტურული რევოლიუციის პრობლემა, საქართველოში, ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში წარმატებით ხორციელდება. კულტურული რევოლიუციის ტემპი საქართველოში შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკებში. ეს მიღწევა რა თქმა უნდა, გასაგებია და გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის და საბჭ. მთავ. ეროვნული პოლიტიკის ბუნებიდან. საქართველოს, როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე კულტურული მშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკასთან შედარებით უფრო მაღალი ტემპები ჰქონდა. კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა საქართველომ მთავარ დარგებში ოთხ წელში შეასრულა. სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში გეგმა შესრულებულია 193 პროც., პირველი საფეხურის სკოლების 120,4 პროც., მეორე საფეხურის 216,1 პროც., პედაგოგიური კადრების მომზადების 245 პროც., წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის—109 პროც., მცირემცოდნეობის—261 პროც., 1-ლი საფეხურის მასწავლებლის ხელფასის ზრდა 119,3 პროც., მე-2 საფეხურის—106 პროც.

ამრიგად მთელი რიგი მაჩვენებლები მოწმობენ, რომ ხუთწლიანი გეგმა მასიური განათლების მნიშვნელოვან დარგებში გადაჭარბებით არის შესრულებული. მაგრამ აღსანიშნავია მნიშვნელოვანი დეფექტებიც. მაგ., დიდი ჩამორჩენა-გარღვევაა პირველ ხუთწლედში სასკოლო მშენებლობის საქმეში. ხუთწლიანი გეგმის ვარაუდით სკოლების კაპიტალურ მშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო—21.640 ათასი მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა—7.413 ათასი მანეთი. ანუ გეგმის 34,3 პროც., საერთოდ კი კულტურული რევოლიუციის ფრონტზე, ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე პარტიის ხელმძღვანელობით მოპოებულია უდიდესი გამარჯვება.

კულტურული მშენებლობის მიღწევების ძირითადი პირობა იყო და მომავალშიც დარჩება ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის განუხრელი ბრძოლა თეორიისა და პრაქტიკაში, დაუნდობელი ბრძოლა ორ ფრონტზე, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც ეხლანდელ ეტაპზე, მთ.საფრთხის „მემარცხენე" გადახრების, მათდამი შემარიგებლობის და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

კულტურულ მშენებლობის მეორე წლედის ძირითადი ამოცანები

მეორე ხუთწლედის პერსპექტივებისა და სახალხო განათლების უახლოესი ამოცანები განსაზღვრულია საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-17 კონფერენციის მიერ დასახული დირექტივებით, დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 5 სექტემბრის დადგენილებით, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით და საქ. კომპარტიის მე-8 ყრილობის დადგენილებით.

მეორე ხუთწლედის უმთავრესი სამეურნეო ამოცანა, რომელიც მე-17 კონფერენციამ დასახა, არის მთელი სახალხო მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, მისი გადაყვანა უმაღლეს ტეხნიკურ ბაზაზე. ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანებიდან გამომდინარე პარტიის მე-17 კონფერენცია ამბობს:

„სახალხო მეურნეობის სრული ტეხნიკური რეკონსტრუქციის ამოცანების განხორციელება მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი სამეურნეო კადრების მიერ ტეხნიკის დაუფლების საქმესთან, საკუთარი ტეხნიკური ინტელიგენციის ახალი ფართო კადრების შექმნასთან მუშებისა და გლეხებისაგან და მშრომელთა მთელი მასის კულტურული დონის გადაჭრით აწევასთან. ტეხნიკური კადრების რაოდენობითმა ზრდამ საბჭოთა კავშირში არავითარი შემთხვევაში არ უნდა დაჩრდილოს მათი მეცნიერული კვალიფიკაციის და მათ მიერ მსოფლიო მეცნიერებისა და ტეხნიკის ყველა მთავარი მიღწევების სათანადოთ გამოყენების საკითხი. ტეხნიკური კადრების პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს კულტურული რევოლიუციის და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ამოცანების ბოლშევიკური განხორციელების უმნიშვნელოვანეს ელემენტს. მოსახლეობის საყოველთაო სწავლების განხორციელების ყოველნაირად დაჩქარება, ტეხნიკური განათლების მთელი საქმის, რაც შეიძლება მალე წინ წაწევა, სახელმწიფოს მიერ საბჭოთა კავშირში მეცნიერების განვითარებისათვის გაძლიერებული მატერიალური მხარის დაჭერა—ასეთია უახლოესი ამოცანები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საერთო ამოცანის შემადგენელ ნაწილს".

ამრიგად საწარმოო ტეხნიკურ ინტელიგენციის და მეცნიერულ კადრების მომზადება და მშრომელთა მასების კულტურული და პოლიტიკური დონის ყოველმხრივი ამაღლება წარმოადგენს ჩვენი მეორე ხუთწლედის გენერალურ ამოცანას კულტურის დარგში.

მეორე ხუთწლედში უნდა განვახორციელოთ შემდეგი ამოცანები: უნდა გავატაროთ საყოველთაო სკოლის ასაკამდე აღზრდა (4—6 წ.წ.), შემოვიღოთ პოლიტეხნიკური საშუალო განათლება, ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში უნდა გავშალოთ ათწლიანი პოლიტეხნიკური სკოლების ქსელი, უაღრესად უნდა გაძლიერდეს სასკოლო მშენებლობა, რათა პოლიტეხნიკურ სკოლას შეუქმნათ მტკიცე მატერიალურ-ტეხნიკური ბაზა, ფართოდ უნდა გავშალოთ მუშათა და კოლმეურნეთა განათლების ქსელი შვიდწლედის საფუძველზე.

მასიური განათლების უახლოესი ამოცანები

საქ. კ. პ. (ბ) ცეკამ, ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო 1931 წ. 31 ოქტომბერს მიღებულ დადგენილებაში სამი ძირითადი ამოცანა დასახა საქ. კომპარტიის წინაშე კულტურული მშენებლობის დარგში.

ამ დადგენილებაში ნათქვამია:

„დაევალოს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს პირველ რიგში უზრუნველყონ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღება 1932 წელს საქართველოსა და სომხეთში, ხოლო 1933 წელს აზერბეიჯანში".

ეს დირექტივა გადაჭრით მოითხოვს, რათა გავატაროთ საყოველთაო სწავლება მიმდინარე, ე. ი. 1932-33 სასწავლო წელში.

მთელ საქართველოში 1933 წელში დასრულდება საყოველთაო სწავლება 4-წლედის ფარგლებში. 1932-33 სასწავლო წელში სამრეწველო რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლება უნდა გატარდეს 7-წლედის ფარგლებში, ე. ი. მე-5 ჯგუფში ჩაბმული უნდა იქნეს 4-წლედ დამთავრებული ყველა ბავშვები.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა დავამთავროთ ოქტომბრის რევოლიუციის მე-15 წლის თავისათვის.

უნდა გავადიდოთ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების ქსელი: საბავშო ბაღები ბაგეები და სხვ. ამ წერილში ჩვენ უნდა გვქონდეს 798 ერთეული, სადაც გაერთიანებული იქნება 71.529 ბავში.

1932-33 სამოსწავლო წელში უნდა გვქონდეს 3.898 4-წლედი, 15.256 ჯგუფით და 402.812 მოწაფით.

7 წლედი (მე-5, 6, 7 ჯგუფები) 959,3277 ჯგუფით და 119.513 მოწაფით. ასაკ გადაცილებულთა სკოლის დარგში ჩვენ გვექნება 564 ერთეული, 1176 ჯგუფით, სადაც ისწავლის 29 ათასი კაცი, ანუ მთელი ასაკ გადაცილებულთა 85,1 პროც. ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანები, მასიური განათლების დარგში.

ავამაღლოთ სწავლების ხარისხი

სკოლის ხარისხის შესახებ ჩვენ გვაქვს საკავშირო ცეკას 5 სექტემბრის დადგენილება, რომელიც ლაპარაკობს სკოლის მუშაობის ძირითად ნაკლზე. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას,

„რომ საბჭოთა სკოლა ვერ აკმაყოფილებს იმ უდიდეს მოთხოვნილებებს, რომელსაც უყენებს მას სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი. ცენტრალური კომიტეტი სკოლის ძირითად ნაკლად ეხლანდელ მომენტში სთვლის იმას, რომ სწავლება სკოლებში არ იძლევა საკმაო საერთო საგანმანათლებლო ცოდნას და არადამაკმაყოფილებლად სწყვეტს ტეხნიკუმებისა და უმაღლეს სკოლებისათვის ისეთი მცოდნე პირების მომზადების ამოცანას, რომელსაც კარგად აქვთ შეთვისებული მეცნიერებათა საფუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და სხვა").

როდესაც სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში სდგას საკითხი სკოლის ძირითადი ნაკლის აღმოფხვრის შესახებ. რა არის ამისათვის საჭირო?—ცხადია კარგად მომზადებული მასწავლებელი, როგორც სწავლა-აღზრდის მოწესრიგების ცენტრალური ფიგურა, მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძვლებზე დამუშავებული პროგრამები, აქტიური მეთოდებით მუშაობა და სკოლების იდეოლოგიურად გამართული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

რა გავაკეთეთ ჩვენ ამ ხრით? უნდა ითქვას, რომ მასწავლებელთა მომზადება-გადამზადებას სათანადო ყურადღება ექცევა. ჩვენ გვაქვს დაუსწრებელი და მასწავლებელთა გადასამზადებელი ინსტიტუტები. ეს ინსტიტუტები საკმაო ტემპებით მუშაობენ, მაგრამ მოთხოვნილების დაფარვისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ.

სწავლების ხარისხისათვის ბრძოლა მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც ყოველმხრივ მომზადებული და პოლიტიკურად გამობრძმედილი მასწავლებლობა გვეყოლება.

აი რას გვასწავლიდა ამ საკითხის შესახებ ამხ. ლენინი:

„ყოველ სკოლაში, სწერდა ის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ლექციის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. რით განისაზღვრება ეს მიმართულება? მთლიანად და განსაკუთრებით ლექტორთა შემადგენლობით. არავითარ კონტროლს, არავითარ პროგრამებს აბსოლუტურად არ შეუძლია მეცადინეობის იმ მიმართულების შეცვლა, რომელსაც ლექტორთა შემადგენლობა განსაზღვრავს".

სკოლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის დროს მნიშვნელოვან მომენტს სკოლის პოლიტეხნიზაცია წარმოადგენს.

რა ამოცანები დასახა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად? დადგენილებაში ვკითხულობთ:

„ვინაიდან კომუნისტური აღზრდის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს პოლიტეხნიკური სწავლება, რომელმაც უნდა მისცეს მოწაფეებს „მეცნიერებათა საფუძვლები, გააცნოს მათ თეორიულად და პრაქტიკულად წარმოების ყველა მთავარი დარგები და დაამყაროს სწავლების მჭიდრო კავშირი ნაყოფიერ შრომასთან". წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს—1931 წლის განმავლობაში ფართედ გაშალონ სკოლებთან სახელოსნოებისა და სამუშაო ოთახების ქსელი და ეს მუშაობა დაუკავშირონ სკოლის მიმაგრებას წარმოებაზე, საბჭოთა მეურნეობებზე, სამან.-სატ. სადგურებზე და კოლმეურნეობებზე ხელშეკრულებათა მიხედვით?

უნდა ითქვას, რომ ეს დირექტივა ჯერ კიდევ არ სრულდება, ვინაიდან სამეურნეო ორგანოები და თვით სკოლა ამ ამოცანას ვერ მიუდგა ისე, როგორც ამას მოითხოვს 5 სექტემბრის დადგენილება. ჩვენი სამეურნეო ორგანოები ადვილად გვეთანხმებიან, როდესაც მათ ვეუბნებით უმაღლესი სასწავლებლების საწარმოო პრაქტიკის შესახებ, მაგრამ საშუალო სკოლებს (7 წლედებს) ხშირად სრულიად ყურადღების გარეშე სტოვებენ, აქ ყოვლად დაუშვებელ შეუფასებლობას აქვს ადგილი.

ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სკოლის წარმოებასთან მიმაგრების პრაქტიკა არ არის დამაკმაყოფილებელი და ხშირად ფორმალურ და დამახინჯებულ სახეს იღებს. ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულება სკოლასა და წარმოებას შორის რეალური არ არის, ის არ ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებებს და იმდენად მათ არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ აქვთ. ჩვენ ვიცით, რომ მოსწავლეთა საზოგადოებრივი ნაყოფიერი შრომა უნდა ექვემდებარებოდეს სკოლის სასწავლო აღმზრდელობითი მიზნებს. მიუხედავად ამისა ზოგიერთ წარმოებებში, კოლმეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში ადგილი ქონდა ბავშის შრომის გამოყენებას, არა დანიშნულებისამებრ.

პოლიტეხნიზაციასთან დაკავშირებით სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამულ-მეთოდური ხელმძღვანელობის გაძლიერებას. ჩვენს დაწყებით, საშუალო და უმაღლეს ტეხნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სკოლებს არ აქვს საბოლოოდ დამტკიცებული პროგრამები იმ პრინციპების მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებს მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკა. ასეთი პროგრამები ჩვენ არ მოგვეპოვება. საპროგრამო მეთოდურ მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ ავიღეთ გადამწყვეტი ბოლშევიკური ტემპები. რაც შეეხება მეთოდიურ ხელმძღვანელობას, უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინერგებოდა „მემარცხენე" თეორია და პრაქტიკა. მეთოდიურ პროექტორობა ჩვენშიც სკოლის სიკვდილის თეორიიდან გამომდინარეობდა. ჩვენი სკოლის პრაქტიკაში ბატონობდა კომპლექსური სისტემა და პროექტების მეთოდი.

პროექტულ-კომპლექსური მეთოდი გამოცხადებულ იქნა უნივერსალურ მეთოდათ.

როგორი შედეგები მივიღეთ ამ მეთოდით მუშაობის საფუძველზე?

უპირველეს ყოვლისა დამახინჯდა სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის დიალექტიური ერთიანობის, ლენინური პრინციპი: სკოლაში სისტემატიური ცოდნის დაუფლებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ცალკე სასწავლო დისციპლინების მაგივრად ადგილი დაიჭირა კომპლექსურმა თემებმა. პროგრამები და სახელმძღვანელოები მეორე ხარისხოვან მოვლენად იქნა აღიარებული, საგრძნობლად შემცირდა მასწავლებლის ხელმძღვანელობითი როლი და სხვ.

განათლების სახალხო კომისარიატმა უკვე დაამუშავა ახალი პროგრამის პროექტები. **პროგრამები ძირითადად აგებულია საგნობრივის პრინციპზე და მიუხედავად იმ ცალკე შეცდომებისა, რომელსაც ადგილი აქვს ოთხწლედის ახალ პროგრამებში უნდა ითქვას, რომ ცეკას 5 სექტემბრის დადგენილების განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული.**

„მემარცხენეები" პედაგოგიკაში რევოლიუციონურ თეორიას უმნიშვნელო ადგილს უთმობდენ. მათი აზრით ბავშვების წარმოებაში მუშაობა და წარმოების საფინანსო-საწარმოო გეგმის შესრულება პირველი ამოცანა იყო, ხოლო მას მისდევდა სკოლის სასწავლო-საალმზრდელო ამოცანები. ზოგიერთმა „მემარცხენე" დამახინჯებებთან ბრძოლა ისე გაიგეს, ვითომც ჩვენ ხელს ვიღებდეთ პოლიტეხნიზმის გატარებაზე და ძველ გიმნაზიებს უბრუნდებოდეთ. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც მოგვიწოდებს ხელი ავიღოთ პოლიტეხნიზმზე და დაუბრუნდეთ წიგნურ-სიტყვიერ სკოლას. არის მეორე ტენდენცია, რომელიც სცდილობს პოლიტეხნიზმი გადააქციოს ვიწრო საქმოსნობად ან პროფესიონალიზმად, რომ ჩვენ სკოლიდან ვიწრო ხაქმის მცოდნენი, ხელოსნები მივიღოთ, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ პოლიტეხნიზმის იდეის ყოველგვარ დამახინჯებასთან.

ლენინმა ჩვენ მოგვცა პოლიტეხნიკური სკოლის მშენებლობის ურყევი პროგრამა. თავის შენიშვნები ნ. კრუპსკაიას თეზისებზე, ლენინი სწერდა:

„ვერიდოთ ნაადრევ სპეციალიზაციას, დამუშავდეს ინსტრუქცია ამის შესახებ. გაფართოვდეს ყველა პროფსკოლებში საერთო საგანმანათლებლო საგნები. დასახულ იქნას აუცილებელ დავალებად დაუყოვნებლივ გადასვლა პოლიტეხნიკურ განათლებაზე ან უფრო სწორედ მთელ რიგ ამჟამად შესაძლებელ ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმა პოლიტეხნიკური განათლებისაკენ. ჩვენ ეხლავე გვჭირდება დურგლები, ზეინკლები, უსათუოდ ყველა უნდა გახდეს დურგლად, ზეინკლებად და სხვა, მაგრამ ამა თუ იმ საგანმანათლებლო და პოლიტეხნიკური მინიმუმის დამატებით".

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ლენინის ამ პროგრამის განსახორციელებლად, მიუხედავათ იმ სიძნელეებისა, რომელთაც პოლიტეხნიკური სკოლის მშენებლობის დროს ვაწყდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის გარდაქმნა ჩვენი პარტიის დირექტივების მიხედვით ხდება კლასობრივი ბრძოლის პირობებში, ბურჟუაზიულ ტენდენციასთან ბრძოლის პირობებში და არც შეიძლება სხვანაირად მოხდეს. გამწვავებულ კლასობრივი ბრძოლის პირობებში სასკოლო ფრონტი წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის ფრონტს. ამ ფრონტზე იბრძვის ანტიპროლეტარული, ბურჟუაზიული ტენდენცია, ბურჟუაზიული იდეოლოგია და პრაქტიკა. ჩვენ ორ ტენდენციას, როგორც ბურჟუაზიულ, ისე ფეოდალურ სკოლისაკენ ლტოლვას, როგორც სიტყვიერ სწავლებისაკენ, ისე ვიწრო პროფესიონალიზმისაკენ გატაცებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. სხვაგვარად პოლიტეხნიკური სკოლის აშენება წარმოუდგენელია.

უმაღლესი სკოლა

ამჟამად საქართველოში 19 უმაღლესი ტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სასწავლებლები გვაქვს, სადაც 13.857 სტუდენტი სწავლობს. უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის ზრდა ჩვენში 1927-28 სასწავლო წლიდან იწყება. გაიზარდა სპეციალური ტეხნიკუმების ქსელიც. ამჟამად 152 სპეცტეხნიკუმი გვაქვს 23.151 მოსწავლით.

უმაღლესი სკოლის რეფორმა სავსებით გამართლდა. ცალკე ინსტიტუტებში სამეურნეო კომისარიატების და უწყებათა ხელში გადასვლის შემდეგ კადრების მომზადების ტემპი ძლიერ გაიზარდა. სამწუხაროდ უმაღლესი სკოლის მუშაობის, სწავლების ხარისხი დაბალ დონეზე დგას.

უმაღლეს სკოლებში დღემდე გაბატონებული იყო ე. წ. ლაბორატორიული მეთოდი, რომელიც გამოაცხადეს როგორც კომუნისტური აღზრდის, კომუნისტური პედაგოგიკის უკანასკნელი სიტყვა. ამ მეთოდს წინად არ იზიარებდნენ, არ ატარებდენ მთლიანად, პირიქით, კიდეც სდევნიდენ. უკანასკნელ დროს კი ის უნივერსალურ მეთოდათ გადაიქცა. გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიულ ბრიგადული მეთოდით მუშაობას გაუპიროვნება შეაქვს სწავლებაში, რასაც თან სდევს აკადემიურად სხვის კმაყოფაზე ყოფნა. ეს მეთოდი ფაქტიურად გარდაიქცა არა აქტიურ მეთოდათ, არამედ მის საწინააღმდეგო მოვლენად. მან სავსებით უარყო ლექციები და პროფესორის ცოცხალი სიტყვა. ამ მეთოდის შემწეობით პროფესორის როლში გამოდიოდა, როგორც პროფესორი, ისე ლექტორი, დოცენტი და ასისტენტი. პროფესორი, სპეციალისტი უკეთეს შემთხვევაში კონსულტანტის როლს ასრულებდა. ამ რიგად ლაბორატორულ-ბრიგადული მეთოდით ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში შეიჭრა „სკოლის სიკვდილის" თეორიიდან გამომდინარე მასწავლებლის—პროფესორის როლის შესუსტების ტენდენცია. ცხადია, რომ ამ მდგომარეობას ჩვენ ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ლაბორატორულ-ბრიგადული მეთოდი უნდა გაუქმდეს.

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა ავწიოთ პროფესორის ავტორიტეტი და პასუხისმგებლობა. **საჭიროა ლექციური მუშაობის მეთოდს ფართო ადგილი დაუთმოთ უმაღლეს სასწავლებლის მუშაობაში, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ვითომც ჩვენ ძველი უნივერსიტეტების სქოლასტიური ლექციური სისტემით მუშაობას უბრუნდებოდეთ. საჭიროა ცალკე საგნებში სავსებით საფუძვლიანად მოვიფიქროთ თუ როგორ და რა მოცულობით გამოვიყენოთ ესა თუ ის მეთოდი ისე, რომ სწავლების მეთოდი არ დავაშოროთ საგნის შინაარსს და მის მეთოდოლოგიას.**

ჩვენ აუცილებლად უნდა გავზარდოთ სტუდენტების პასუხისმგებლობა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, რათა მათ მართლაც შესძლონ მეცნიერების დაუფლება. ამ რამოდენიმე წლის წინათ ამხ. სტალინი ამბობდა:

„ჩვენს წინაშე დგას ციხე-სიმაგრე, ამ სიმაგრეს — ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგების შესწავლა ეწოდება. ეს სიმაგრე ჩვენ უნდა ავიღოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. ეს სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ თუ მას სურს გახდეს ახალი ცხოვრების მშენებელი და ძველი გვარდიის ნამდვილი შემცვლელი. მეცნიერების დაუფლება ცოდნის ყოველ დარგში ბოლშევიკ-სპეციალისტების ახალი კადრების გამოჭედვა, ასეთია ეხლა ამოცანა".

მეორე მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეცნიერულ მუშაკთა კადრების გამოყენებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე არის გადადგმული, მეცნიერულ მუშაკთა დაწინაურების საქმეში დიდი მუშაობა არის ჩატარებული, მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია ნაკლულოვანებათა მთელი რიგი, არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სკოლა ან კომისარიატი პროფესორის ან დოცენტის თანამდებობაზე ნიშნავს ისეთ პირებს, რომელთაც არ აქვთ საამისო კვალიფიკაცია. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

პროგრამულ მეთოდიური ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით სახალხო განათლების კომისარიატთან არსდება **სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელიც თანახმად მთავრობის დადგენილებისა, განახორციელებს უმაღლეს სკოლაზე უშუალოდ პროგრამულ მეთოდიურ ხელმძღვანელობას.**

პედკადრების მომზადება და მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა

მასწავლებელთა მომზადება გადამზადებას განსახკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ჩვენს ამოცანას შეადგენს ავამაღლოთ მასწავლებლის კვალიფიკაცია და ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ, რადგანაც **„სახალხო მასწავლებელი ჩვენში უნდა იდგეს ისეთ სიმაღლეზე, როგორზედაც არასოდეს არ მდგარა იგი, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში"** (ლენინი).

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მთელ რესპუბლიკაში ჩატარდა კურს-კონფერენციები. ზოგიერთ რაიონებში როგორიცაა ბორჩალო, ბაშკიჩეთი, ლუქსემბურგი, ახალციხე, ტელავში, ადიგენი და ზემო-სვანეთი ტარდება ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები. თუ ჩვენ ავიღებთ პედკადრებით სკოლების უზრუნველყოფის გეგმას 1932-33 სასწავლო წლისათვის—დავინახავთ ჯერ-ჯერობით მოთხოვნილება მთლიანად არ იფარება. 1932-33 წლისათვის გვჭირდება 15.100 მასწავლებელი და გვეყოლება მხოლოდ 12.500. ეს დეფიციტი ორ-ცვლიან მუშაობის სისტემის გამოყენებით უნდა დავფაროთ.

მომავალი სასწავლო წლისათვის ჩვენ დიდი საფრთხის წინაშე ვიმყოფებით. ახლა რაიონებში დაიწყო მასწავლებლების დენადობა, მასწავლებლების სკოლებიდან წასვლა, რომელმაც ზოგიერთ რაიონში მასიური ხასიათი მიიღო. მიღებული ასალი ცნობების მიხედვით ზოგიერთ რაიონებს 60-70-80 მასწავლებელი აკლდება. ზოგიერთი მასწავლებელი გარბის სოფლიდან.

აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენ გვმართებს გავშალოთ უაღრესად დიდი პოლიტიკური მუშაობა მასწავლებელთა შორის, რათა ეს დენა შევაჩეროთ და მასწავლებლები სკოლაზე მივამაგროთ.

რა თქმა უნდა, რომ მარტო პოლიტიკური მუშაობა და აგიტაცია არ სწყვეტს საკითხს. ეს მხოლოდ საკითხის ერთი მხარეა. **მთავარი პირობა იმისათვის, რომ მასწავლებლები მიმაგრებულნი იქნენ სკოლაზე, არის მათი მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების ყოველმხრივი გაუმჯობესება, მასწავლებლების უფლების დაცვა. მასწავლებელს ესაჭიროება მეტი ყურადღება, მეტი დახმარება.** მართალია მასწავლებელთა ხელფასი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ხელფასზე საგრძნობლად მოქმედობს დროებითი ხასიათის მიმდინარე სიძნელენი, ისე, როგორც სამრეწველო და სასურსათო საქონელით, მომარაგების საქმეზე. მარტო ნომინალური ხელფასის ზრდა არ არის საკმარისი, საჭიროა მასწავლებლების უზრუნველყოფა კომუნალური მომსახურეობით. საჭიროა მასწავლებელთა კულტურული მომსახურეობის გაუმჯობესება სამრეწველო საქონლის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფონდის დანიშნულებისამებრ მასწავლებლამდე დაყვანა, საჭიროა მასწავლებლის მომარაგება გახდეს ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების ერთ-ერთ საზრუნავ საგნათ.

სასკოლო მშენებლობა და სკოლის მდგომარეობა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გარკვეული დირექტივა მოგვცა სასკოლო მშენებლობის გაუმჯობესების დარგში. ცეკას დადგენილების თანახმად:

„სკოლების მატერიალური ბაზა—ახალ შენობათა აგება, არსებულთა რემონტი, სასწავლო მოწყობილობის და სასწავლო იარაღების წარმოება—სრულიად არ არის საკმარისი და აბრკოლებს სკოლის მუშაობის გაუმჯობესებას".

განსახკომის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით უნდა აშენებულიყო 268 ოთხწლედი, 40 შვიდწლედი, 7 პედტეხნიკუმი და კაპიტალურად უნდა შეგვეკეთებია 484 სასკოლო შენობა.

სასკოლო აღმშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო—16.600,000 მანეთი, ფაქტიურად კი ამ საკონტროლო ციფრებიდან განათლების კომისარიატმა მიიღო მხოლოდ 4.087,000 მანეთი, რა თქმა უნდა საკონტროლო ციფრები უაღრესად შემცირებულია, მაგრამ საქმე არა მარტო დაფინანსების შემცირებაშია, მშენებლობაში კიდევ უფრო ხელს გვიშლის საშენი მასალის ნაკლებობა.

გეგმის მიხედვით უნდა მიგვეღო 11.200 კუბიკური მეტრ. ხის მასალა, მივიღეთ 250 კუბიკური მეტრ. 48 ტონა ლურსმანის მაგივრად მივიღეთ 400 კილოგრამი, 350 ტონა ცემენტის მაგივრად—34 ტონა, 9.000.000 ცალი კრამიტის მაგივრად კი 40.000 ცალი და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, საშენი მასალის მომარაგება სასკოლო მშენებლობისათვის უნუგეშო მდგომარეობაშია. ეს საკითხი უნდა დაისვას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანიზაციების წინაშე. საშენებელი მასალის მომარაგებას შემდეგ კვარტალში არ ასრულობს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რითაც უარეს მდგომარეობაში ვარდებით. სასკოლო მშენებლობა მასალებით მომარაგების საქმეში მესამე ფრონტადაა მიჩნეული, რაც რასაკვირველია, მართებული არ უნდა ჩაითვალოს, უნდა დაისვას საკითხი, ამ მდგომარეობის შეცვლის შესახებ.

გარდავქმნათ განათლების ორგანოების მუშაობა

საკითხი, რომელიც დღეს იპყრობს ჩვენ ყურადღებას შეეხება განათლების მუშაობის გარდაქმნას. ჩვენ აქაც ჩამოვრჩებით; ჩვენი განათლების ორგანოების მუშაობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა სკოლაზე.

მუშაობის გეგმიანად წარმატების დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს დიფერენცირებულ კონტროლს, რომლის შემოწმება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სკოლებში ირღვევა ერთმმართველობის პრინციპი. ხშირია შემთხვევები, როდესაც თვით მოწაფეები გამოდიან ადმინისტრაციის როლში. ასეთ დამახინჯებებს კი ბოლო უნდა მოეღოს. ამჟამად სწავლების ხარისხისათვის ბრძოლა ძირითად ამოცანად უნდა გადაიქცეს. უნდა ავწიოთ სწავლების ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირის მუშაობის გაძლიერებას სკოლაში, კომკავშირს ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოთ ამ მუშაობაში.

ფართოდ უნდა გაიშალოს კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა განათლების მუშაკთა შორის. ჩვენი მასწავლებელი პოლიტიკურად აუცილებლად განათლებული კაცი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დაგვეხმარება ჭეშმარიტი მარქსისტულ-ლენინური სკოლის შექმნაში. უნდა კარგათ გვახსოვდეს, რომ სახალხო განათლების პოლიტიკისაგან დაშორება ყოვლად შეუძლებელია. აი რას ამბობდა ამ საკითხის შესახებ ამხ. ლენინი:

„ყველაზე უფრო მთავარი განათლების დარგში ჩვენს პოლიტიკასთან ურთიერთობის საკითხია. ჩვენ არ შეგვიძლია მთელი ჩვენი საგანმანათლებლო მუშაობის დარგში დავდგეთ განათლების პოლიტიკის გარეშე დაყენების თვალსაზრისზე და საგანმანათლებლო მუშაობა პოლიტიკას მოვწყვიტოთ.

საბჭოთა მასწავლებელი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საბჭოთა აღმშენებლობაში, იგივე უნდა ითქვას მეცნიერულ მუშაკთა შესახებაც. **საჭიროა ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე გარდავქმნათ მასწავლებლებისადმი დამოკიდებულება.** საჭიროა ასეთი დამოკიდებულება გვქონდეს მეცნიერულ და სხვა განათლების მუშაკთა მიმართ, რომელიც ხელს შეუწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას მთელ ჩვენ სოციალისტურ მშენებლობაში.

ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო ახალ კადრებს, არამედ მზრუნველობით და ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ძველ კადრებსაც, რომლებიც შემობრუნდენ ჩვენი მშენებლობისაკენ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას ძველ ხელმძღვანელობის მიერ 1931 წელში დაშვებულ იქნა უხეში პოლიტიკური შეცდომები, რომლის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცეკამ 1931 წლის 31 ოქტომბერს მიიღო შესაფერი დადგენილება. ამ დადგენილებას საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რეკონსტრუქციის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა ვეცადოთ სწორედ გავატაროთ ეს დადგენილება კულტურული აღმშენებლობის დარგში, ამას ჩვენ შევძლებთ **საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოლშევიკური ცეკას ხელმძღვანელობით და დახმარებით.** ადგილებზე პარტიულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურული რევოლიუციის და სახალხო განათლების საკითხებს. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 სექტემბრის ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისთვის კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. სიძნელეები მუშაობის პროცესში აუცილებლად შეგვხვდება, მაგრამ ისინი ბოლშევიკური სიმტკიცით უნდა გადავლახოთ. ბრძოლა პოლიტეხნიკური სკოლის შექმნისათვის და კულტურული რევოლიუციის პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელია მაშინ, თუ ბოლშევიკურად ვიბრძოლებთ პარტიის გენერალური ხაზისათვის და დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებთ ყოველგვარ გადახრებს, მათთან შემარიგებლობას, მენშევიკური იდეოლოგიის და კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის ნაშთებს.

ერ. ბედია.

---

*) წერილი წარმოადგენს გადამუშავებულ სტენოგრამას ამხ. ე. ბედიას მოხსენებისა, რომელიც მან გააკეთა სახალხო განათლების საკითხებზე მოწვეულ რესპუბლიკანურ თათბირზე.

უზრუნველვყოთ სახელმძღვანელოების დროზე გამოცემა

სასწავლებლებში მეცადინეობის დაწყებამდე სულ ცოტა დრო დარჩა. დღემდე კი სახელმძღვანელოების სრულიად უმნიშვნელო ნაწილია გამოსული.

წელს უნდა გამოიცეს სრულიად ახლად შედგენილი სახელმძღვანელოები. წარსულ წელს გამოცემული სახელმძღვანელოები სრულიად მიუღებელია ჩვენი სკოლებისათვის. ახალი სახელმძღვანელოები უნდა დაიწეროს ახალი პროგრამის მიხედვით; პროგრამების შედგენა კი ერთობ დაგვიანდა (დღემდე კიდევ არ არის ყველა პროგრამა გამოცემული) უპროგრამოთ ცხადია, ავტორებს არ შეეძლოთ სახელმძღვანელოების შედგენა. ამის გამო სახელმძღვანელოების ბეჭდვას მხოლოდ აპრილის ბოლო რიცხვებში შეუდგა სახელგამი. შემდეგ, მაისის განმავლობაში სახელმძღვანელოების უმნიშვნელო ნაწილი გადაეცა სტამბებს დასაბეჭდათ: მხოლოდ ივნისის და ივლისის განმავლობაში დაიტვირთა სტამბები სახელმძღვანელოებით იმდენად, რომ აღარ აქვთ საშუალება სხვა სასტამბო საქმეებთან ერთად სავსებით უზრუნველყონ სახელმძღვანელოების თავის დროზე გამოცემა.

ჩვენი პოლიგრაფიული ბაზის სისუსტე განსაკუთრებით კი კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, ყველასათვის ნათელია. სახელგამმა ამ საკითხზე თავის დროზე მიაქცია სათანადო ორგანოების ყურადღება, მაგრამ დღემდე ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პრაქტიკულად ბევრი არაფერი გაკეთებულა.

პოლიგრაფიული ბაზის ასეთი მდგომარეობა აშკარად მოწმობს იმას, რომ მომავალი სამოსწავლო წლისთვის სტამბები ვერ მოასწრებენ მათზე დაგვიანებით გადაცემულ სახელმძღვანელოების დაბეჭდვას ჩვეულებრივი წესით.

ამჟამად კი მდგომარეობა ასეთია.

პირველი და მეორე საფეხურის სკოლებისათვის სულ უნდა გამოვიდეს 84 სახელწოდების სახელმძღვანელო, აქედან 20 ივლისამდე დაბეჭდილიყო 9, ბეჭდვის პროცესში იყო 49, სტამბაში გასაგზავნად დამზადებულია 2, სარედაქციო დამუშავების პროცესში 22, ავტორებს არ წარმოუდგენიათ 2.

ტეხნიკუმებისა და მუშფაკებისათვის—უნდა გამოიცეს 128 სახელწოდების სახელმძღვანელო. აქედან 20 ივლისამდე დაბეჭდილი იყო 29 სახელწოდების წიგნი, წარმოებაში იყო 28, სტამბაში გადასაცემად გამზადებული იყო 5 სახელწოდების დედანი; სარედაქციო დამუშავების პროცესში იყო—66, ავტორებს არ წარმოუდგენიათ—40.

უმაღლესი სასწავლებლებისათვის უნდა გამოიცეს 66 სახელწოდების სახელმძღვანელო. აქედან 20 ივლისამდე დაბეჭდილი იყო 25, წარმოების პროცესში იყო 22, სტამბაში გადასაცემად დამზადებული იყო 9, ავტორებს არ წარმოუდგენიათ 10.

ცხადია, რომ არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმ სახელმძღვანელოების პირველ სექტემბრისათვის გამოცემის იმედი, რომლებიც ავტორების მიერ არ არის წარმოდგენილი ან რომლებიც დღეს სარედაქციო დამუშავების პროცესში იმყოფება. მაგრამ ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული, როგორც სახელგამის, ისე პოლიგრაფიული წარმოების ადმინისტრაციის, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ, რათა სტამბებში გადაცემული სახელმძღვანელოების გამოცემა უზრუნველყოთ სწავლის დაწყებამდე, თუ ეს შევსძელით და უნდა შევსძლოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს—მეცადინეობის დაწყება ასე თუ ისე უზრუნველყოფილი იქნება. აუცილებელი სახელმძღვანელოებით. შემდეგში კი თანდათანობით შეივსება სახელმძღვანელოების ასორტიმენტი ახალ გამოცემული წიგნებით.

ყველამ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს სახელმძღვანელოების ბეჭდვასთან, უნდა შეიგნოს თუ რა უდიდესი პოლიტიკური და კულტურულ-განმანათლებელი მნიშვნელობა აქვს მოსწავლე ახალგაზრდობის უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით. მათ, განსაკუთრებით კი სტამბების ადმინისტრაციამ, უნდა მიიღონ ყოველივე ზომები, რათა სავსებით შეასრულონ დავალება, რომელიც მიცემული აქვთ პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან სახელმძღვანელოების გამოცემის ირგვლივ.

აგრეთვე საჭირო და აუცილებელია, სახელმძღვანელოების გამოცემამდე შეჩერებულ იქნას სტამბებში ყველა ისეთი სამუშაოები, რომელთა გამოცემაც აუცილებელი არ არის დღეს-დღეობით.

სხვადასხვა სტამბებსა და მუშების კოლექტივებს შორის ფართოდ უნდა გაიშალოს სახელმძღვანელოების დამზადების ირგვლივ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ზედმეტ საათებში და სხვ.

მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ უნდა მიიღოს უშუალო მონაწილეობა სახელმძღვანელოების ბეჭდვის ხელმძღვანელობაში და პროფორგანოების ხელმძღვანელებს ადგილებზე დააკისრონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება სახელმძღვანელოების ბეჭდვის ირგვლივ.

მეორე დაბრკოლება, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს სახელმძღვანელოების ბეჭდვას, ეს არის ქაღალდის ნაკლებობა. სახელგამის სათანადო აპარატის გამოანგარიშებით ქაღალდის ის მარაგი, რომელიც მის განკარგულებაშია, დაწყებულ სახელმძღვანელოების დასამთავრებლადაც არ იკმარებს, სრულებით არ არის ფურცლოვანი ქაღალდი და ამის გამო უხდებათ დაგორგლილი ქაღალდის დაჭრა ფურცლებათ, რაც დიდ დროს, ხარჯებს და შრომას მოითხოვს. ამასთან ერთად დაჭრის დროს იკარგება 30 პროც. ძვირფასი და დეფიციტური მასალისა.

ამიერ-კავკ. ბეჭდვითი კომიტეტს უნდა დაევალოს, რომ უზრუნველყოს სახელმძღვანელოების ბეჭდვა ქაღალდის საჭირო რაოდენობით; პირველ რიგში კი დაუბრუნოს სახელგამს ის 30 ტონა ქაღალდი, რომელიც კომიტეტის განკარგულებით სახელგამის ქაღალდის მარაგიდან მიეცა სესხად სხვადასხვა ორგანიზაციებს გაზაფხულზე.

ჩვენს განკარგულებაში ძლიერ ცოტა დრო დარჩა. სასწავლებლები ემზადებიან სწავლის დასაწყებათ. სახელგამი, თბილისის სტამბები, მათი ადმინისტრაცია მუშები და პარტპროფესიონალური ორგანიზაციები მოვალენი არიან გააკეთონ ყველაფერი, რათა სწავლის დაწყებისას მოსწავლენი არ დარჩნენ უწიგნოთ, უსახელმძღვანელოდ.

ე. ტოროტაძე.

სასკოლო შენობების შეკეთება ვადაზე უნდა დამთავრდეს

სასკოლო შენობების შეკეთება ქ. თბილისში და მასში შემავალ რაიონებში არა დამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს.

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების გეგმით 1932-33 სასწავლო წლისათვის სულ უნდა შეკეთებულიყო 80 სკოლის შენობა; აქედან ლენინის რაიონში 10, სტალინის—11, ორჯონიკიძის სახ. 16 და 26 კომუნარის სახ. რაიონში—27 სასკოლო შენობა. სანიმუშო სკოლები—9.

სკოლების შეკეთება ფაქტიურად დაწყებულ იქნა პირველ ივლისიდან და დღემდე დამთავრებულია მხოლოდ 7 სკოლის შეკეთება 26 კომუნარის სახ. რაიონში და 4 სკოლის შეკეთება ლენრაიონში.

სკოლების შეკეთებას თავის დროზე დამთავრებას ხელს უშლის თანხების და საამშენებლო მასალების უქონლობა. თბილისის საბჭოს დავალებული ჰქონდა 25.000 მანეთის გაღება სასკოლო შენობების რემონტისათვის, მაგრამ ეს ჯერ გადარიცხულიც კი არ არის საჭიროებისამებრ.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაა საამშენებლო მასალებით მომარაგების საქმეში. საქ მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატს თბილისის განათლების განყოფილებისათვის მეორე კვარტალში სასკოლო შენობების რემონტისათვის, უნდა მიეცა 388 ტონა ცემენტი, 300 ტ. კირი, 1750 კუბომეტრი ხე-ტყე, 4 ტ. სახურავი რკინა, 7 ტ. ლურსმანი, მინები და სხვ. ფაქტიურად განათლების განყოფილებამ მიიღო—25 კუბომეტრი ხე-ტყე, 200 კილოგრამი ლურსმანი და 100 კვადრატიული მეტრი მინა.

განათლების განყოფილების მრავალ მოთხოვნილებებზე მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატი საქ. „მარაგ გასაღებისაკენ" იშვერს ხელს და ეს უკანასკნელი კი საქ. „საამშენებლო მასალათა ტრესტი"-ს მოუქნელი მუშაობით იწყებს თავის მართლებას.

თუ ასეთი „ტემპებით" გაგრძელდა სასკოლო შენობების შეკეთება, ახალი სასწავლო წლის თავის დროზე დაწყების საქმეს საფრთხე მოელის.

უყურადღებოდ არის მიტოვებული სასკოლო ინვენტარის შეკეთების და პოლიტეხნიკური სახელოსნოების ხელსაწყოებით მომარაგების საქმე. თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ სრულებით არ იცის, თუ რა კეთდება ამ მიმართულებით. როდესაც „კომუნისტი"-ს ბრიგადა შეეკითხა თბილისის განათლების განყოფილების პასუხისმგებელ მუშაკ ამხ. ს. ებრალიძეს, თუ რა მდგომარეობაშია სკოლების ინვენტარით და პოლიტეხნიკური სახელოსნოების ხელსაწყოებით უზრუნველყოფის საქმე—ასე განაცხადა:

„ეს ჩვენ არ გვეხება, ეს რაიგანათლების განყოფილებების საქმეა და ცნობებიც მათ ექნება ამ საკითხის შესახებ"-ო.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სკოლების შეშით მომარაგების საქმეში. ხელშეკრულებები უკვე დადებულია სატყეო ტრესტთან, რომელმაც ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განათლების განყოფილებას უნდა ჩააბაროს—1.200 კუბ. საჟ. შეშა. აქედან დღემდე მიღებულია 300 საჟენი.

ხელშეკრულება დადებულია აგრეთვე საქ. კოლმეურნცენტრის სატყეო სექტორთან, რომელმაც განათლების განყოფილებას უნდა ჩააბაროს 600 კუბ. საჟ. შეშა.

ამრიგად არის სრული გარანტია იმისა, რომ სკოლები მომავალ სასწავლო წელში შეშით მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი, მხოლოდ საჭიროა დამზადებული შეშის დანიშნულ ადგილზე დროულად გადმოზიდვა.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

ერწო-თიანეთის რაიონი სუსტად ემზადება

ერწო - თიანეთის რაიონი ახალი სასწავლო წლისათვის სუსტად ემზადება. რაიონში სასკოლო მშენებლობის საქმე სრულიად მოუგვარებელია, გასულ სასწავლო წელში სკოლების უმრავლესობა საჭირო ინვენტარით არ იყო მომარაგებული, რამაც ძალზე შეაფერხა სასწავლო პროგრამების და გეგმების შესრულება.

სასკოლო შენობების შეკეთებისათვის დღემდე არ არის ნაბიჯები გადადგმული. ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თუ რამდენი დაჯდება ცალკე სკოლების შეკეთება. არ არის დაწყებული არც ერთი სკოლის შეკეთება, მიუხედავათ იმისა, რომ სკოლების მეტი ნაწილი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს.

საჭიროა ძირშივე აღმოიფხვრას სკოლის შენობების შეკეთებისადმი ასეთი დამოკიდებულება; ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი დროს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთებისათვის.

ლ. გურდული, ი. კალანდაძე, ვ. სიჭინავა.

მოვაწესრიგოთ მუშაობის აღრიცხვა სკოლებში

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 5 სექტემბრის დადგენილება, დაწყებითი საშუალო სკოლის შესახებ, ახალ გზაზე აყენებს მთელ სასკოლო მშენებლობას.

საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-8 ყრილობის რეზოლიუციაში ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი საკმაოდ მკვეთრად და მთელი სერიოზულობით არის დასმული.

„მიღწეული იქნას გადამწყვეტი გარდატეხა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის დადგენილების განხორციელების საქმეში დაბალი და საშუალო სკოლების შესახებ, გადახალისდეს სასკოლო მუშაობა პოლიტეხნიკურ საფუძველზე, მოხდეს საბჭოთა სკოლის გადამწყვეტი შემობრუნება პირათ წარმოებისაკენ"—აი რას გვავალებს ყრილობის დადგენილება. სკოლების მუშაობის კონტროლი და შემოწმება ამ მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ბერკეტთაგანია. ეს საქმე კი როგორც განათლების კომისარიატში ისე სკოლებშიაც მოუგვარებელია. ჩვენს პირობებში ეს მოვალეობა თითქოს ეკისრება ინსტრუქტორებს, მაგრამ ჯერ ერთი — ინსტრუქტორების საკმაოდ რაოდენობის უყოლობის გამო და შემდეგ ამ განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ფუნქციის სხვა ფუნქციაში მექანიკურად გათქვეფის გამო ძალიან სუსტად დგას სასკოლო მუშაობის კონტროლი.

საინსპექტორო და საინსტრუქტორო ფუნქციების გაიგივება, ერთმანეთში არევა და ერთი პიროვნების ხელში მოქცევა ყოვლად შეუძლებელია. ინსტრუქტორი ანუ კონსულტანტ-მეთოდისტი ვალდებულია თუ საჭიროა 10—20 და მეტი დღითაც მუშაობდეს სკოლაში. მისცეს მასწავლებელს მითითება რჩევა და დაეხმაროს მის მიერ მიცემული მითითებების განხორციელებაში. საქმით უჩვენოს მასწავლებელს სანიმუშო ფაქტი და კონტროლის წინაშე თვითონაც ისე იყოს პასუხისმგებელი, როგორც მის ხელმძღვანელობის ქვეშ მომუშავე მასწავლებელი.

საკონტროლო-საინსპექტორო ფუნქცია—სკოლის გამოკვლევა და გამოკვლევის მასალების შედგენა და ზემდგომი ორგანოებისადმი წარდგენა უნდა ევალებოდეს კონტროლიორ-ინსპექტორს.

შემუშავებული უნდა იქნას კონტროლის საერთო ფორმა, და ამის მიხედვით უნდა ვღებულობდეთ სასკოლო მუშაობის მთლიან სურათს. ამისათვის საჭიროა კონტროლის და შემოწმების ძლიერი სექტორის შექმნა თვით, როგორც განსახკომში ისე ყველა ინსტიტუტების, ტეხნიკუმების და ყოველგვარი ტიპის სკოლების მუშაობის საქმიანობისათვის სისტემატიური და მეთოდიური კონტროლის გაწევის მიზნით.

სასკოლო მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლის გაწევა, მუშაობის დაგეგმვა და დასახული გეგმებისთვის ბრძოლა ყველა დასახული მიზნების მიღწევა სასკოლო მშენებლობაში შეუძლებელია სოციალისტური აღრიცხვის გარეშე.

აღრიცხვა ჩვენ მოგვცემს სწორ წარმოდგენას ჩვენი სკოლის მიერ მიღწეულ შედეგებზე და საერთოდ ყოველგვარ წინაპირობებზე, რაზედაც შესაძლებელია ახალი გეგმების შედგენა. აღრიცხვის გარეშე კი შეუძლებელია სათანადო კონტროლის გაწევაც.

აუცილებელ საჭიროებად უნდა იქნას ცნობილი ყველა ერთსახოვანი ტიპის სკოლების და საერთოდ კი ყველა სკოლებისათვის ერთიანი ტრაფარეტიული საღრიცხვო-ტეხნიკური საშუალებების გამონახვა რამოდენიმე სტანდარტული საღრიცხვო ფორმების შემოღება. **საღრიცხვო საქმის კარგად დაყენებამ უნდა მოგვცეს სასკოლო მუშაობის მთლიანი სურათი.**

დღევანდელ მომენტში მოწაფეების წარმატების ინდივიდუალური აღრიცხვას უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება. დღემდე დაახლოებით ასე იყო: შვიდწლედი 4 წლედის აბრალებდა მოუმზადებელ მოწაფეების მოცემას ტეხნიკუმი კიდევ შვიდწლედებს, უმაღლესი სასწავლებლები რა თქმა უნდა ტეხნიკუმებს და ა.შ. ყველა ამის მიზეზი იყო და არის არა საკმაო საერთო განათლების დაყენება სკოლებში და რაც მთავარია ჩატარებული მუშაობის არა ზუსტი აღრიცხვა.

შრომის ნორმირების საკითხის გადაწყვეტა და სახელდობრ კი ყველა ხელშესახები საწარმოო შესაძლებლობების გამოყენება სკოლაში, საერთო საწარმოო გეგმის დამუშავება და მისი დეტალიზაცია ცალკე ნაწილებად და აგრეთვე მაჩვენებლების დინამიკის სათანადო აღრიცხვა—შესაძლებელია მხოლოდ **გამომუშავების ნორმების არსებობით:** რომლებიც დაწესებული იქნებიან ტეხნიკური ნორმირების მეთოდებით. ტეხნიკური ნორმირების ობიექტად უნდა იყოს აღებული სასკოლო საწარმოო პროცესი მთლიანად. ტეხნიკური ნორმირებით მოცემული დრო, ითვალისწინებს არა მარტო იმას, რაც უნდა აკეთოს მოწაფემ და მასწავლებელმა, არამედ იმასაც თუ როგორ უნდა აკეთოს ის. სასკოლო საქმიანობის ტეხნიკური განორმირება, ე. ი. თვითეული სკოლის პროგრამების, მათი ნაწილების დროის და გამომუშავების ნორმებად დანაწევრება, ყველა სკოლების მუშაობაში შეიტანს სისტემატიზაციას და შესაძლებელს გახდის სასკოლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

იგივე ტეხნიკური ნორმირება შესაძლებელს გახდის სკოლის მუშაობის ნაყოფიერების გამოკვლევას და, რაც მთავარია, კონტროლის და შესრულების შემოწმების მაღალ საფეხურზე აყვანას.

სასკოლო მუშაობაში დღემდე კიდევ არაა სათანადოთ ფეხმოკიდებული გამომგონებლობის და მთელი პედაგოგიური ტეხნიკის რაციონალიზაციის საქმე.

ზოგიერთი სკოლების ორგანიზაციულ-ტეხნიკური და მეთოდიური მიღწევებიც არ არიან გამომჟღავნებული. არ სწარმოებს გამოცდილებების ურთიერთ გაზიარება. ასევე უნდა ითქვას საწარმოო თათბირების მუშაობაზე შრომის სოციალისტური მეთოდების სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გამოყენებაზე სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში.

ამხ. სტალინის 6 პირობას შესრულების საქმეშიაც მთელ რიგ სკოლებში საგრძნობი ხარვეზები გვხვდებიან. ამ მხრით ახალი სასწავლო წელი უდიდესი ამოცანების წინაშე დგას. გასულ სასწავლო წელში სასკოლო მუშაობის გარდაქმნის დარგში თუ მოხდა გარდატეხა—მომავალ სასწავლებლებში უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობის ნამდვილი გარდაქმნა.

ს. ყარიბიშვილი

პოლიტეხნიკური შრომა საბავშო ბაღში (თბილისში)

პირველი ცდა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მუშათა ყოფა-ცხოვრების „წვრილმანი" საკითხები

საბჭოთა მუშას, იმ მუშას, რომელიც გმირულად იბრძვის ხუთწლედის ოთხ წელში დამთავრებისათვის, იმას, ვინც აშენებს სოციალისტური მრეწველობის გიგანტებს და ამზადებს ნიადაგს მეორე ხუთწლედისათვის, — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ხუთწლედისათვის, **აქვს ყოველგვარი უფლება მოგვთხოვოს მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ყოველმხრივ დაკმაყოფილება.**

ამას წინად ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ — „პრავდა"-მ სასტიკად გაამათრახა **მოსკოვის** ერთ-ერთი სამრეწველო რაიონის საქარხნო გაზეთი და სათანადო მსჯავრი დასდო ამ ქარხნის პარტიულ, კომკავშირის და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რომლებიც—**მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს ყურადღების გარეშე სტოვებენ.**

გამოსასვლელი დღეების კულტურულად გატარება,—მუშათა ფართო მასების გასვლა ქალაქ გარეთ, სუფთა ჰაერზე. მათთვის კულტურული მომსახურება კლუბის გარეშე—მინდვრად—ითვლება სრულიად ახალ მეთოდათ მუშათა კულტურული მომსახურების დღემდე ცნობილ სისტემათა შორის.

აქამდე გამოსასვლელ დღეს არავინ იცოდა თუ როგორ ისვენებდენ მუშები, როგორ ისვენებდენ მათი ოჯახის წევრები. უმრავლეს შემთხვევაში საქარხნო პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ამ საკითხით თავს მაინცა და მაინც არ იტკივებდენ. მაგრამ ამ მხრივ იწყება გარდატეხა: **ფაბრიკა-ქარხნების სამკუთხედებმა პირი იბრუნეს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების „წვრილმანი" საკითხებისაკენ.**

თბილისის საწარმოებმაც გადასდგეს ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯი: მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოსასვლელი დღეები ორგანიზაციულად, კულტურულად იქნა გამოყენებული... და ამან დადებითი შედეგიც გამოიღო.

სართიჭალისაკენ

ლითონის კონსტრუქციის ქარხნის პარტიულმა და პროფორგანიზაციამ გადასწყვიტა ერთ-ერთი გამოსასვლელი დღე გამოიყენონ კულტურულად: **მასიურად გავიდნენ ქალაქ გარეთ და იქ დაისვენონ.**

— როგორ მოვაწყოთ კულტურული დასვენება? მარტო ჩვენი ქარხნის მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის თუ „დავპატიჟოთ" სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშები და მათი ოჯახის წევრები!?—ეს აზრი უტრიალებს თავში ქარხნის ხელმძღვანელ ამხანაგებს. მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი, **მასიური ხასიათი** მიეცეს ამ დასვენებას.

—:—

6 აგვისტო. თბილისის რკინის გზის სადგურის მოედანი. დილის—8 ნახევ. საათია. 8 ვაგონისაგან შემდგარი მატარებელი მზად არის გასამგზავრებლად. **ორკესტრის ხმაზე მუშები მწყობრი რიგებით შედიან მატარებელში,** მათ წინასწარ იციან თუ რომელ ვაგონში უნდა შევიდენ; აქვე არიან დაპატიჟებული მუშები: „მკერავიდან", **„26" კომუნარის სახ. ქარხნიდან, მაუდის ფაბრიკიდან, ტყავის ქარხნებიდან, აბრეშუმის ფაბრიკიდან და სხვ. დაწესებულებებიდან.**

ასეთი მასიური კულტურული დასვენება თბილისში პირველად ლითონის კონსტრუქციის ქარხანამ მოაწყო.

— ამ ქარხანას სულ 5 თვის ისტორია აქვს—მეუბნება მატარებელში ქარხნის პარტკოლექტივის მდივანი. ჩვენ „გავეყარეთ" 26 კომუნარის სახ. ქარხანას, ლითონის კონსტრუქციის საამქრო, ამ რამოდენიმე თვის წინად ჩამოშორდა ქარხანას და ცალკე ქარხნად დაარსდა დიდუბეში... ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპებმა მოითხოვა მისი ასე გაფართოება. **სულ ჩვენს წარმოებაში—350 კაცი მუშაობს.. და ამ ხნის განმავლობაში მათ არ იციან თუ რა არის გარღვევები.**

შეხვედრა კოლმეურნეებთან

— **„მჭიდრო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის"!**

— **„უკლებლივ შევასრულოთ პურის დამზადების გეგმები!**

— **განვამტკიცოთ კოლმეურნეობები სამეურნეო ორგანიზაციულად და პოლიტიკურად"!**

— **„გავშალოთ საკოლმეურნეო ვაჭრობა"!**

— **„მოსავალი ავკრიფოთ დანაკარგების გარეშე"!**

ასეთი ლოზუნგებით შეიჭრა—568 მუშით დატვირთული მატარებელი სართიჭალაში.

აქ კოლმეურნეებს უკვე დილიდანვე მოეყარათ თავი. კოლმეურნეებმა 20 ფურგონით სტუმრები დანიშნულ ადგილზე გადაიყვანეს.

კულტურული მუშაობა ტყეში

დანიშნულ ადგილზე ვართ! საუცხოვო ბაღია... არა ხელოვნურად გაშენებული, ის უფრო „ტყეს" ჩამოგავს... ფეხზე ვერ მაგრდები... გინდა სუფთა ბალახზე წამოწვე... მაგრამ აი იხსნება სახელდახელო მიტინგი: სიტყვას ამბობს სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ფეიქრიშვილი.**

ორთაჭალის სას. საბჭომ თესვის გეგმა—130 პროც. შეასრულა. მოსავლის აღება—108 პროც. პურის დამზადების მეორე კვარტალის გეგმა—200 პროც. ფულადი სახსრების მობილიზაციის—101 პროცენტით".

საპასუხო სიტყვით გამოვიდენ ცალკე მუშები და ქარხნის ხელმძღვანელი ამხანაგები; მათ თავიანთი მიღწევები გააცნეს კოლმეურნეებს და ღარიბ საშუალო გლეხებს.

სახელდახელო მიტინგის შემდეგ გაიმართა მუშების და კოლმეურნეების ჯგუფური საუბრები; **8 ჯგუფორგი ხელმძღვანელობს სულ ამ საქმეს.**

აგერ მინდორზე გაჩაღდა ჭადრაკის თამაში!.. ორკესტრი უკრავს განუწყვეტლივ! გაიმართა შეჯიბრება სროლაში, ჯილდო მიიღო 2 მუშამ. მუშაობს კითხვა-პასუხის მაგიდაც... აქვე არიან ქარხნების შეფი—წითელარმიელებიც, გაიმართა მასიური ცეკვა-თამაში.

მეტად საინტერესოა სტალინის სახ. კლუბის ბრიგადების გამოსვლა: მათ მიერ შესრულებულ იქნა შემდეგი ნომრები: **„ლოთობა და თამბაქო", „კოლხელშეკრულება", „სოცშეჯიბრება - დამკვრელობა", „გლესავ და გლესავ ნამგალო", „ბიჭო,პური შემოსულა",** სომხური საკოლმეურნეო სიმღერა: **„კომკავშირელი მოდის"** და სხვ.

სიმღერებით და შაირებით გამოვიდენ აგრეთვე **ვასო კობელი და მსახიობი პრივალოვი.**

მუშებს მომსახურეობა გაუწია ქარხნის დახურულმა კოოპერატივმა. **საკმაოდ იყო** კარგი საუზმე და სადილი, გამაგრილებელი წყლებით.

საღამოს 7 საათზე მხიარული მუშები დაბრუნდენ უკან, იმ იმედით, რომ **ასეთ დასვენებას წარმოების პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალური ორგანიზაციები ხშირად მოაწყობენ.** კულტურული დასვენება, რომელსაც ქონდა **მასიური ხასიათი, თბილისში იყო პირველი.**

გავიდეთ და დავისვენოთ ქალაქ გარეთ, სუფთა ჰაერზე, ორგანიზაციულად! კულტურულად!

დეფექტები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს

როგორც პირველ ახალ საქმეს, 6 აგვისტოს **ლითონის კონსტრუქციის ქარხნის** მუშების მიერ მოწყობილ პირველ მასიურ კულტურულ დასვენებას ახლდა სერიოზული დეფექტები, რომლებიც მომავალში არ უნდა განმეორდეს.

აღსანიშნავია რკინის გზის ხელის „შეწყობა" ამ კულტურული დასვენებისადმი. მუშების გადასაყვანად რკინის გზამ ძლივს გაიმეტა მატარებელი იმ მიზეზით, რომ ისინი **„შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის ემზადებიან და არ აქვთ „ზედმეტი" ვაგონები.**

ადგილობრივმა კოლმეურნეობებმა („პროგრესი", „იორი") მუშებს ვერ შეახვედრეს საკოლმეურნეო სავაჭროები, როდესაც მათ საამისო საშუალება ქონდათ.

იმ დროს, „საქრძეკარაქტრესტის" ს. სართიჭალის წერტს კი გაეხსნა კომერციული „შემხვედრი" ვაჭრობის მადა.. ეს ორგანიზაცია რძის ნაწარმოებს (კარაქი, ყველი, ნადუღი, რძე და სხვ.) ოჯერ მეტ ფასებში ყიდდა, ვიდრე ეს პროდუქტები თბილისის ბაზრებზე ფასობს. საუზმე და სადილი ძალზე დაგვიანდა, რაც უნდა აიხსნას იმითი, რომ **სურსათი წინადღით არ ყოფილა გამოგზავნილი, როგორც ჩვეულებრივად უნდა მომხდარიყო.**

აუცილებლად სერიოზული ყურადღების ღირსია ერთი საკითხი, რომელიც მდგომარეობს პოლიტდღის მოწყობაში.

მართალია აქ იყო „კითხვა-პასუხის მაგიდა", მაგრამ მეტად ვიწრო ფარგლებში. ქარხნის პარტორგანიზაციას შეეძლო პოლიტდღის მოსამზადებელი მუშაობა ეწარმოებია ქარხანაში და გამოსასვლელ დღეს ის უფრო ფართოდ ჩაეტარებია. **ყველა ეს დეფექტები უნდა გაითვალისწინონ სხვა წარმოებების სამკუთხედებმა და შესძლონ მუშათა დასასვენებელი დღეების უფრო ორგანიზაციულად და უნაკლოდ ჩატარება.**

ვასო მექვაბიშვილი.



ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა საერთო საცხოვრებელი შენობები

მოვსპოთ ხულიგნობა და ლოთობა მატარებლებში

უკანასკნელ ხანებში ხულიგნობამ სახალხო მატარებლებში სისტემატიური ხასიათი მიიღო. ზოგიერთ თავაშვებულ მგზავრების საზიზღარ მოქმედებას საზღვარი არ უჩანს, მათ, როგორც უნდათ ისე იქცევიან, ლოთობენ, მღერიან და ავიწროვებენ მგზავრებს. ყოველივე ეს კი გზის აგენტების (გამყოლების) და წესრიგის დამცველი პირების სუსტი მუშაობის შედეგია.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ის არის, რომ ზოგჯერ თვით ეს აგენტები გამოდიან ხულიგნების ხელის შემწყობთა როლში. ხშირად შეხვდებით ვაგონებში მთვრალ გამყოლებს, რომლებიც სრულიად არ ფიქრობენ მგზავრების მომსახურეობაზე.

20 ივლისს № 47 მატარებელში (თბილისი-ბათომი) ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს: მატარებელი ძირულის სადგურს უახლოვდებოდა. რბილი ვაგონის კიბეზე, იჯდა ნახევრად მთვრალი გამყოლი ზოლნიკოვი. დიდი ჩხუბი და დავიდარაბა იყო საჭირო, რომ ვაგონში შესულიყო კაცი. ვაგონიდან ისმოდა საშინელი წივილ-კივილი, ხოლო, როდესაც ვაგონის გამყოლს მოსთხოვეს კარების გაღება, მან სასტიკი უარი განაცხადა. როგორც იყო კარები გაიღო და იქიდან გამოვარდა თვალცრემლიანი და აღელვებული ქალი.

შემდეგ გამოირკვა, რომ ვაგონში საზღვარს გადასული მთვრალები იყვნენ. მათ მთელი გზა ბათომიდან - ძირულამდე თვით გამყოლ ზოლნიკოვთან ერთად ღვინის სმაში გაეტარებიათ. ღვინით გალეშილ „რაინდებს" ბოლოს განეზრახათ, მგზავრი ქალისათვის შეურაცხყოფა მიეყენებიათ.

საჭიროა აღმოიფხვრას ხულიგნობა და ლოთობა რკ. გზებზე. ერთხელ და საბოლოოდ უნდა გადაიჭრას მატარებლების მოსამსახურე პერსონალის გადასინჯვის საკითხი და ზოლნიკოვისებური მახინჯი ელემენტები, რომლებიც სახელს უტეხენ პატიოსან რკინისგზელებს, გაძევებულ უნდა იქნან ტრანსპორტიდან.

შრომის გმირი.

ასფალტ-ბეტონის პირველი ქარხანა თბილისში

თბილისის საბჭოს საგზაო მშენებლობის ტრესტმა ქუჩების ახალ სისტემაზე გადაკეთებისათვის წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა. ტრესტმა თავისი სახსრებით პირველად თბილისში მოაწყო ასფალტ-ბეტონის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც აგებულია მადათოვის კუნძულზე. ქარხანა ამუშავებულ იქნა 6 აგვისტოს, საიდანაც პირველ ასფალტის დაგება მოხდა პასტერის ქუჩაზე. ქარხანაში ამჟამად იმუშავებს 100 კაცი. მალე რუსთაველის პროსპექტის ასფალტ-ბეტონით დაგებას შეუდგებიან. ქარხანას შემდგომი წლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქუჩების მთლიანად გადაკეთების საქმეში. საჭიროა ტრესტი აქედანვე შეუდგეს სათანადო მუშაობის ჩატარებას აღნიშნულ ქარხნისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

ალ. ჭანტურიშვილი.

5 სექტემბერს თბილისში ეწყობა რესპუბლიკანური საკოლმეურნეო ბაზრობა

5 აგვისტოს თბილისის საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში შესდგა თათბირი, **თბილისში პირველი რესპუბლიკანური საკოლმეურნეო ბაზრობის მოწყობის შესახებ.**

თათბირს დაესწრენ თბილისის თითქმის ყველა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. რესპუბლიკანური საკოლმეურნეო ბაზრობის მოწყობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა თბილისის საბჭოს მომარაგების განყოფილების გამგე ამხ. **მ. ცინცაძე.**

— პირველ რესპუბლიკანურ საკოლმეურნეო ბაზრობაზე მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოს ყველა რაიონის კოლმეურნეობებმა და ინდ. მშრომელ გლეხებმა. ბაზრობაზე შემოტანილი უნდა იქნას 700—800 ურემი სას. სამ. პროდუქცია 1.500.000 — 2.000.040 მან. ღირებულების.

აღნიშნულ ბაზრობაზე ცეკავშირმა, საქვაჭრობამ, „დინამომ" და სხვა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობებს უნდა შეახვედრონ რამოდენიმე მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი. ბაზრობა გაიმართება ახალი, ვერის და ავჭალის ბაზრებზე. ბაზრებზე კოლმეურნეობების და ინდ. მშრომელ გლეხებისათვის მოწყობილია სპეციალური ფარდულები, დაიდგმება მაგიდები, სასწორები და სხვ.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდენ ცეკავშირის, საქვაჭრობის ინკოოპკავშირის „დინამო"-ს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

5 სექტემბერს რესპუბლიკანური საკოლმეურნეო ბაზრობის მოწყობის და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების გამოსამუშავებლად გამოიყო სპეციალური კომისია.

ქრონიკა

სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის გამოფენა

ამიერ-კავკასიის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტექნიკური პროპაგანდის განყოფილებამ სტალინის სახ. კლუბში (პლეხანოვის № 123) მოაწყო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების გამოფენა. გამოფენაზე ტარდება ინსტიტუტების სამეცნიერო მუშაკთა მოხსენებანი. გამოფენა ღიაა ყოველდღე **საღამოს 7—11** საათამდე. მოწყობილ ექსკურსიებისათვის შესვლა უფასოა.

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის მე-166 ნომერში (1932 წლის 18 ივნისი) დაიბეჭდა პრესის მიმოხილვა, რომელშიაც მოცემულია გაზ. „ლენინის გზით"-ის (ქუთაისი) მუშაობის შეფასება რიონჰესის მშენებლობის საკითხების გაშუქების დარგში. მიმოხილვაში, სხვათაშორის, ნათქვამია:

„მთელი ორი თვის (მაისი, ივნისი) განმავლობაში გაზეთს მხოლოდ 4-ჯერ „გაახსენდა" რესპუბლიკის უდიდესი ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობა და მისი მდგომარეობის შესახებ მოათავსა მასალები".

გაზ. „ლენინის გზით"-ის მაისის და ივნისის კომპლექტების ხელმეორედ შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ პრესის მიმომხილველს უსარგებლებია გაზ. „ლენინის გზით"-ის მაისის და ივნისის არასრულ კომპლექტებით, რის გამო მიმოხილვაში არ არის მოხსენებული „ლ. გ." რამოდენიმე ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია მასალები რიონჰესის შესახებ. ამის გამო მიმოხილვის სათაური („ქუთაისში შენდება რიონჰესი", ბრჭყალებში— რედ.) და ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ **„ლ. გ." „დაავიწყდა", რომ ქუთაისში შენდება რიონჰესი"** არ გამოხატავს სინამდვილეს.

აღნიშნავს რა ამას, გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია დასძენს, რომ, მიუხედავად პრესის მიმომხილველის ამ დაუდევრობისა, მიმოხილვა სწორად მიუთითებს „ლ. გ." არსებით დეფექტებზე რიონჰესის მშენებლობის გაშუქების დარგში.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქ. შრომის სახ. კომისარიატისა
1932 წ. აგვისტოს 7
ავტოგზის ტრანსპორტის საინჟინერო-ტექნიკური მუშაკებზე ცნობების წარმოდგენის შესახებ

„ავტოგზის ტრანსპორტის იმ ინჟინერ-ტექნიკოსთა მუშაკების ავტოგზის ტრანსპორტზე უკან დაბრუნების შესახებ, რომლებიც გამოყენებული არ არიან თავიანთ სპეციალობით" ამ.-კავკ. შრ. სახკომისარიატის და ამიერ-კავკ. მთავ. გზატრანსის ა.-წ. 9 ივლისის თარიღით გამოქვეყნებულ ინსტრუქციასთან შეფარდებით, საქ. შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქ. ს.ს.რ. და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე მყოფ ყველა რესპუბლიკანურ და ადგილობრივ მნიშვნელობის სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივი საწარმოო დაწესებულებებს 6 დღის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა წარმოადგინონ საქ. შრომის სახ. კომისარიატის კადრების სექტოში მათთან მომუშავე გზატრანსის სპეციალობის ინჟინერ-ტექნიკოსთა სია.

2. წარმოსადგენ სიაში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი ცნობები:

ა) წარმოების, დაწესებულების ან ორგანიზაციის- სახელწოდება და მისამართი,

ბ) მუშაკის გვარი, სახელი და მამის სახელი,

გ) დაბადების წელი,

დ) დაკავებული თანამდებობა და თვიური ხელფასი,

ე) განათლება (აღნიშნეთ რომელი სასწავლებელი დაამთავრა),

ვ) სპეციალობა ავტოგზის დარგში,

ზ) „ავტოგზის დარგში" მუშაობის სტაჟი (რომელ წლიდან რომელ წლამდე),

თ) მიზეზი ავტოგზის სატრანსპორტო სამუშაოზე მუშაობის დატოვებისა,

ი) ჯანმრთელობის მდგომარეობა (ავადმყოფობა შემოწმებული უნდა იქნეს საექიმო-საექსპერტო კომისიის მიერ),

კ) პარტიულობა,

3. საქ. გზატრანსს ევალება 5 დღის განმავლობაში წარმოადგინოს საქ. შრომის სახკომისარიატში განაცხადი მათთვის საჭირო სპეციალისტების შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს გზატრანსს ერთი დეკადის ვადაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა გამოამჟღავნოს და წარმოადგინოს საქ. შრომის სახკომისარიატში ავტო-ტრანსპორტის მქონე ორგანიზაციები მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

5. ამა დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან, თანახმად არსებულ კანონმდებლობისა.

6. შრომსახკომის რწმუნებულებს, ყველა რაიონების შრომის ინსპექტორებს და კადრების სამმართველოების უფროსებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების თავის დროზე შესრულებას.

შრომსახკომი **მორჩილაძე.**

ავტოგზის ტრანსპ. სპეციალისტთა უკან დაბრუნების საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე—**დევიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

8 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტში, ამხ. ოსიპოვის კაბინეტში (ოთახი № 12) მოწვეულია თათბირი მუშების ცოლთა შორის სისტემატიური მუშაობის საკითხზე. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: რაიკომების ქალთა განყოფილებათა გამგეები, ამხ. მონტინი (საქბინკავშ.), ბეჟანიშვილი (თბ. საბჭო), არეშიძე (მაუდის ფაბრიკა), კუდრიავცევი (ავეჯეულობის ფაბრიკა), მურმანიშვილი (საქ. პრაფსაბჭო), ქალთა ორგანიზაც.—ტრამვაის, სარემონტო ქარხნის, დეპოს, სარეწაო კავშირის „მკერავი" № 1 და 2, თბილისის საბჭოს პროფკავშირების კულტსექტორთა გამგეები, სტალინის, ვოროშილოვის, პლეხანოვის, ორჯონიკიძის და მშენებელთა კავშირის კლუბების გამგეები.

—:—

8 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, საქართ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება თათბირი კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ზრდისა და მისი მოწესრიგების შესახებ 1932 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში. თათბირს უნდა დაესწრონ პარტიის რაიკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, ამხ. რუხაძე (კომკავშირის ლენინის რაიკომი), გრ. ოგანეზოვა (კომკავშირის სტალინის რაიკომი), კამალიანი და სტეფანიშვილი (კომკავშირის „26"-ის რაიკ.), მინდიაშვილი, ლუარსამოვი (კომკ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი) სიხარულიძე კომკ. საგარეუბნო რაიკომი), ამხ. მინდაძე, კუდრიაშვილი (კომკავშირის თბ. კომიტეტი და საქ. კომკავშირის ცეკას და ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა წარმომადგენლები.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. სიდოროპულოსთან (ოთახი № 15): მეხტი კული ალა-კული, მიხეილ მირონშნიკოვი, ანდრონიკ მკრტიჩიანი, მიხეილ მორონზოვი, ივანე მალცევი, ალექსი მიხაილოვი, ვლადიმერ მაქსიმოვი, ივანე მისლოტინი. გიორგი მლებრიშვილი, კონსტანტინე, მანსვეტოვი, გიორგი მგალობლიშვილი, ალექსი მახარაშვილი, მიხეილ მაზნიაშვილი, გრიგოლ მარქარიანი, ვარლამ მურუსიძე, გეურქ მაკაროვი, გრიგოლ მნაცაკანოვი, კარლოს მიკურტუმოვი, ვასილ მაკაბერიძე, მამედ მამედოვი, ალექსანდრე მასხარაშვილი, ბარსეგ მანუჩაროვი, არტემ მაზნიაშვილი, გიორგი მანუკოვი, შუშანიკ მინასიანი, გრიგოლ მანუჩაროვი, კონსტანტინე მოზაიძე, მიხეილ მარკარიანი, ლუკა მურუსიძე, ვლადიმერ მამალაძე, პანჩო მაზმანიშვილი, კირილე მელაშვილი, აკაკი მამალაძე, მამედოვი ალი საამ ალი-ოღლი, ილია მაჩაიძე. კაპიტონ მშვიდობაძე, გამბარ მამედოვი.

—:—

დღეს, 8 აგვისტოს საღამოს სრულ 7 საათზე **სარეწაო კოოპერაციის კლუბში** მოწვეულია სარეწაო კოოპერაციის გაერთიანებაში შემავალ არტელებთან არსებულ **კედ. გაზეთების სარედაქციო კოლეგიების, დამკვრელ მუშკორების და კულტმუშაკთა საქალაქო შეკრება.** არტელების საწარმოო კომისიის წევრებთან ერთად. დღის წესრიგი: 1. ძირეული პრესის ამოცანები საკავშირო ცეკასა და სახკომსაბჭოს 28 ივლისის დადგენილების რეალიზაციის საქმეში — „სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ". 2. გაზეთ „კუსტარი და არტელი"-ს მიერ გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში ჩაბმის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკასთან არსებულ სტალინის ინსტიტუტის მიერ

ა. წ. სექტემბრიდან განახლდება ჟურნალ

„რევოლიუციის მატიანე"-ს გამოცემა.

ჟურნალის სარედაქციო საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, რედაქციის პ მგ. მდივან ამხ. **სევ. ყალიჩავასთან**—დღის 11—2 საათამდე. (რუსთაველის პროსპ. № 23, შესავალი ცეკას შენობიდან).

რედაქცია სთხოვს ამხანაგებს მოგვაწოდონ სათანადო მასალები.

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (უ.აპოლო) 6-30. 8-30, 10-30.

დამკვრელი (საზაფხ.) ყოფ. პალასი. დასაწყ. 9 ს. 10-45.

დამკვრელი ზამთრის 7 ს. 30 წ., 9. 10-30

კინო დარბაზი საზაფხ დასაწყ. 9 15. 11 ს.

ე თ ე რ ი (საზაფხ.) 9 ს. და 10 ს. 45 წ

ალამო კინო **ს პ ა რ ტ ა კ ი** დასაწყ 7-30. 9. 10-30.

რ ლიუქსემბურ სახ კინო ყოფ. ოიოიონი, დასაწყ. 8. 9-30 11.

განახლებულია რეჟ. წუწუნავას **„ორი მონადირის"** დადგმა. მთ. რ. ქ. მიქაბერიძე, ჩექეჩიშვილი, გელოვანი.

გერმანული წარმოების ფილმი **შიში** სტეფან ცვეიგის ნოველის მიხედვით. პრ გარ. „სოიუზკინო" ს ჟურნ. № 14.

მხატვრული ისტორიული ფილმი **პოეტი და მეფე** პრ გარეში—სახკინმრეწვის ჟურნ. № 13

გაროლდ ლოიდი კომედიაში **ე ქ ი მ ი ჯ ე კ ი** პროგ. გარ. სევანის მთის ტბა.

ოლგა ჩეხოვა მხატვრულ ფილმში **მულენ-რუჟი** პრ. რ. გარეშე „ჯანსაღი გავაწევი ძალისათვის.

მხატვ. ამერიკ ფილმი **ცათამბჯენი** პროგრამის გარეშე პურის ფაბრიკა.

პატი და პატაშონი კომედიაში **კარიერის დასაწყისი** პროგრამის გარეში წყალქვეშა ნავი

ხმ. კინო-თეატრი ოქტომბერი

დღეიდან მეორე ეკრანი

ორი მონადირე

რეჟისორი წუწუნავა.

მთავარ როლებში: ქ მიქაბერიძე, ჩერქეზიშვილი, გელოვანი.

დაიწყო მოწაფეთა მიღება

პოლიგრაფ. მრეწველობის

საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში

სკოლა დამთავრებულთ ეძლევათ კვალიფიკაციური მუშის სახელ,ოდება და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება ორი წლის საწარმოო სტაჟის განვლის შემდეგ.

სკოლაში მისაღებათ საჭიროა შემდეგი საბუთები:

1. შვიდწლედის დამთავრების შესახებ.
2. სოციალური მდგომარეობის.
3. წლოვანების.
4. მშობლების საარჩევნო ხმის უფლების.
5. ორი ფოტოგრაფიული სურათი დამოწმებული.

წლოვანებით მიიღებიან 14—19 წლამდე, სწავლების კურსი განისაზღვრება ორი წლით.

ყველა მოზარდები შემოწმებული იქნებიან ფსიქო ტექნიკურ კაბინეტში. ამიტომ ექიმის მოწმობა საჭირო არ არის.

მოწაფეები მიიღებიან პროფკავშირში, იქნებიან დაზღვეულნი და გათანასწორებული მუშათა კატეგორიასთან.

სკოლასთან მოწაფეთათვის არსებობს დახურული განმანაწილებელი, სასადილო (სადილი შეღავათიან ფასებში) სადალაქო და სხვა. ჩარიცხულები მიიღებენ ხელფასს 25—60 მანეთამდე თვეში. ერთ წლის სპეც ტანსაცმელს. ისარგებლებენ აბანოთი, უზრუნველყოფილი იქნებიან სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოებით და სკოლიდან ერთ კილომეტრზე ზევით მობინადრეებს მიეცემათ ტრამვაის უფასო ბილეთები.

საბუთების მიღება სწარმოებს პოლიგრაფსკოლის კანტორაში ყოველ დღე დილის 8 საათიდან 3 საათამდე მიმდინარე წლის 1 ლ სექტემბრამდე.

პროვინციიდან საბუთების გადმოგზავნა შეიძლება ფოსტით.

სკოლის მისამართი: ქ თბილისი, პოლიგრაფსკოლა, წერეთლის ქუჩა № 3, ტელეფონი № 7—68.

ნ. 1147 **დირექცია.**

კინო-თეატრი დამკვრელი

დღეს და ყოველდღე

გრანდიოზული ისტორიული ფილმი

პოეტი და მეფე

(ა. ს. პუშკინის ცხოვრება და სიკვდილი)

რეჟისორი ვ. გარდინი

თეატრში გაძლიერებული ვენტილიაციაა.

საქართვ. სახკინმრეწვის ტრესტი

პლეხანოვის პროსპ. № 164.

7 აგვისტოდან ღებულობს განცხადებებს იმ პირთაგან, ვისაც სურს შევიდეს 1932 წლის შემოდგომის შემსების დროს მოსკოვის

კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში

შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სასცენარო, 2) საპქრიორო, 3) საოპერატორო და 4) საინჟინერო-ეკონომიურ ფაკულტეტებზე.

განცხადებების მიღება იწარმოებს ა/წ. 10 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სახკინმრეწვის კადრების განყოფილებაში.

საქ სახკინმრეწვის კადრების განყოფილება.

საქართველოს მეღვინეთა დასვის ტექნიკუმში 1932 წ. მიღების პირობები:

1. ტექნიკუმში მიიღება 60 მოსწავლე. მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე.

2. ტექნიკუმში მიიღება კოლასკოლებში, საფ. საქ. შვიდწლედებში კურსდამთავრებულნი არა უმცირეს 16 წლისა და არა უმეტეს 21 წლისა.

3. ტექნიკუმში შემსვლელთათვის სოციალურ შერჩევასთან ერთად იწარმოებს აკადემიური შემოწმება 7 წლედის პროგრამის ფარგლებში შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში, საზმეცნიერებაში, მათემატიკაში და ფიზიკაში.

4. შემსვლელთათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: ა) შვიდწლედის დამთავრების მოწმობის დედანი, ბ) წლოვანობის მოწმობა, ა) სამხ. ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა, დ) ჯანმრთელობის მოწმობა, ე) მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ, ვ) მოწმობა 1932 წ სამეურნეო გადასახადის რაოდენობის შესახებ, ზ) ცნობა შემსვლელის ან მისი მშობლების შრომის სტაჟის შესახებ, გაცემული სახელმწ. პარტ. და პროფორგანიზაციის მიერ და ორი ფოტოგრაფიული სურათი.

5. მისაღებ მოსწავლეთა რიცხვი განაწილებულია საქართველოს სამანქანო-განმანადგურებელ სადგურებზე. სადგურების შერჩეული კანდიდატების სია, შემრჩევ კომისიის ოქმთან და სათანადო საბუთებთან ერთად უნდა გადმოიგზავნოს ტექნიკუმის კანცელარიაში—თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 170, ა/წ. 15 აგვისტომდე.

6. აკადემიური შემოწმება იწარმოებს 25 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

7. აკადემიური შერჩევის უზრუნველსაყოფად ყველა სამანქ განმანად. სადგურებმა უნდა წარმოადგინონ დათმობილ კანდიდატების გარდა კანდიდატები.

8. ტექნიკუმის მოსწავლეთა ნაწილი (40—45 პროც.) უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

საქართ. მზვ ს კადრების სექტორის გამგე.

ნ. 1149 ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე.

ცეკავშირის პრეზიდიუმი აცხადებს

რომ მის მიერ დაარსებულია და რეგისტრაცია ქმნილია საქართველოს ფინსახკომის სახალხო მეურნეობის სექტორში 1932 წლის 1 და 2 აგვისტოს შემდეგი სარაიონთაშორისო კოოპერატიული ბაზები:

1. ქუთაისის სარაიონთაშორისო კოოპერატიული ბაზა (რეგისტრაციაქმ ილია 1932 წ 1 აგვისტოს რეესტრი № 58).

2. ბათომის სარაიონთაშორისო კოოპერატიული ბაზა (რეგისტრაციაქმნილია 1932 წ. 2 აგვისტოს რეესტრი № 58).

3. ბორჯომის სარაიონთაშორისო კოოპერატიული ბაზა (რეგისტრაციაქმნილია 1932 წ. 2 აგვისტოს რეესტრი № 58).

ცეკავშირის პრეზიდიუმი აცნადებს დაინტერესებულ ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ აღნიშნული ბაზები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით და აქვთ თავიანთი კანტორა ტრანსპორტი, საწყობები და თავისი ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკის ადგილობრივ განყოფილებაში.

ნ. 1148 **ცეკავშირის პრეზიდიუმი.**

ამხ. აბ. ენუქიძის სახელობის

ინდუსტრიალურ ტექნიკუმში

მიღების პირობები

1. ტექნიკუმში შემსვლელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განათლების მოწმობა, ბ) მოწმობა, რომელიც დაადასტურებს შემსვლელის და მისი მშობლების სოციალურ მდგომარეობას და საწარმოო სტაჟს გ) ცნობა პარტიულ ორგანიზაციების, შემსვლელის და მისი მშობლების, დ) დაბადების მოწმობა ე) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ვ) ჯანმრთელობის მოწმობა და ზ) ორი ფოტოგრაფიული სურათი შემოწმებული.

შენიშვნა გლეხებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა სასოფლო გადასახადის შესახებ.

2. განცხადება და სათანადო საბუთები მიიღება 1-ლ აგვისტოდან 18 აგვისტომდე

3. შემსვლელის შემოწმება მოხდება შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში, ბ) რუსულ ენაში, გ) მათემატიკაში, დ) ფიზიკაში და საზმეცნიერებაში.

4. შემოწმება დაიწყება 20 აგვისტოდან.

5. სწავლა ტექნიკუმში დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან.

11248 **ტექნიკუმის დირექტორი ვ. ჭავჭანიძე.**

მ/უ. საქ. კომ. მეურნეობა

წინადადებას აძლევს

ალექსანდრე აბულაძეს

(სოფ. თელეთის ყოფ. საბჭოს თავ-რე) გამოცხადდეს 10 აგვისტოს საქ. კომ. მეურნეობაში ამხ. ხურმანიძესთან, დილით 10 საათზე. 11242

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინ ინსტიტუტები

სახის სილამაზის მოვლა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეგზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს დ სხ. ძნელაძის ქ. № 22.

13—3 5464

ქართულ და რუს ენაზე

ვ ა მ ზ ა დ ე ბ

მოსანგარიშის და მოლარის თანამდ. ვუსწორებ ხელს წერაში და ვასწავლი ბუხჰალტერიას.

შემიძლიან მეცადინეობა აგარაკზე და იქ შეთანხმებით ოთახის მიღება გაკვეთილში. აბასაბად. მოედ., ახოსპირეულის 1-ლი ჩიხი, 6 (ლერმონტ. ქ. ახლოს, ბაღის პირდაპირ). ნახვა 9—12 და 4—5 საათ.

9136

ი. ი. ძნელაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ.

იღებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდმთავრის ქუჩა) ალექსანდროვის საავადმყოფ. პირდაპირ. 9320

ექიმი

ქ. ი. ჯალაღონი

ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებ.) სიფილისი შეხაპუნება „914", ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება დილ. 8-9 ს. საღ. 6-8 ს. ქალების და ბავშვების მიღება 5-6 ს., მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ-მარქსის მოედნის მახლობლად.

სამუდამოდ გაუბედურებული მეუღლე ანიკა ივანის ასული აუწყებს საზოგადოებას და ნათესავებს მისი ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი მეუღლის

კაპიტონ დავითის-ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქ ლანჩხუთში 9 აგვისტოს 2 საათზე. 11238

ლანჩხუთის მომკავშირის გამგეობა უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამს კავშირის გამგეობის წევრის ამხ.

კაპიტონ დავითის-ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 11238

ლანჩხუთის ინვალიდთა კოოპერატიული არტელის მუშა მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე არტელის ლი მოხათის ქარხნის გამგის ენერგიული მუშაკის

კაპიტონ კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 11238

არტემ ფილოძე მეუღლე მართი შვილებით: გივი და ლეილათი, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის დაუვიწყარ

ალექსანდრე იოსების-ძე ამერიძის

გარდაცვალების გამო. 11245

მწუხარებაში მყოფი მეუღლე ნატაშა ბაქრაძისა. ქალიშვილი და სიძე თამარა და ალექსანდრე ფულარიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ალექსანდრე ბააკას-ძე ბაქრაძე

დაკრძალვა ქუთაისში. 9 აგვისტოს. 11249

ავთანდილ ჩესარიოვის-ძე ბალიკაძე ოჯახით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და. ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა ძვირფასი ბიძიკო

ალექსანდრე ბააკას-ძე ბაქრაძე

დაკრძალვა ქუთაისში სამშაბათს 9 აგვისტოს. 11249

დაუძლურებული ცოლი ოლია (ბაბილინა). შვილები. შოთა, მერიკო, მიშა სიძე ძმები ანო იუწყებიან ძვირფას, დაუვიწყარ

აქვსენტი პავლეს-ძე გეგეჭკორის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბორჯომის ქ № 10 9 აგვისტოს 4 საათზე. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. (ს)

თავზარდაცემული მშობლები ლადო და ანიკო ელიევები და დიდედა მარიამი მწარე ცრემლით დასტირიან მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარ პატარა

ე თ ი კ ო ს

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ეკლესიის ქ. № 4 11247

ვასილი და მარიამი მელიქ ევი შვილებით ნინა. ელენე თამარი და ანტონით, სიძეებით: აკაკი და არჩილით იუწყებიან საყვარელი პატარა

ეთიკო ელიევას

უდროოდ გარდაცვალებას 11247

ქეთო და კონსტანტინე გვარჯალაძეები. ვახო და თამარი ჯავახიშვილები შვილებით იუწყებიან ძვირფასი პატარა

ეთიკო ელიევას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე დღეს, გამოსვენება ეკლესიის ქ № 4, ოთხ საათზე. 11247

1 ლი საბჭოთა აფთიაქის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე აფთიაქის თანამშრომლის სოხია ქეიშვილის ძმის, ექიმ

ალექსანდრე ქეიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 11243

ექიმი აგრაფინა ივლიანეს-ასული ქმრით ექიმი ნიკოლოზი ვარდენის ძე. შვილებით. ჯიმშერი. ციალა ანთელავები მწუხარებით იუწყება საყვარელი დედის

ანასტასია (აჭატო) ქავთარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 აგვისტოს ქ სოხუმში. გამოსვენება მაგილევის ქ. № 2. 11251

ანა (გოგუცა) გამსახურდია ქმრითა და შვილებით ღრმა მწუხარებით იუწყება. რომ სოხუმში გარდაიცვალა მისი საყვარელი ამხრდელი ბიცოლა

აჭატო სოლომონის-ასული ქავთარაძისა. 11244

მშობლები: ანიკო, ალიოშა, ბებია ელისაბედი, ბაბუა ლუკა, ბიძები: ივანე, კოლია, გრიშა ტოტაძეები. ბებია ნინო, ბაბუა კორნელი, ბიძა ბიქტორი ასათიანები იუწყებიან

ი ზ ო ლ ი კ ო ს

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 6 აგვისტოს ს. უსახელოში. 11251

დამწუხრებული მეუღლე რინა, მშობლები ყაისარ, მარო, შვილები: აკაკი, შალვა ზინა სურგულაძეები მადლობას უცხადებენ იმათ, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება საყვარელი ინჟინერ მეტყევე

სარდიონ ყაისარის-ძე სურგულაძის

დაკარგვის გამო. 11251

დამწუხრებული მშობლები: ილია და ანეტა, ძმები: ჟორა, გივი და ქეთო ლვინიაიძეები. ბიძები: ივანე, თედორე, ბიცოლები: მიხა, იუსტინე გუნიები იუწყებიან საყვარელ

ე თ ე რ ი ს

დაკარგვას. გამოსვენება 9 აგვისტოს კრიავ ნის № 4, 4 საათზე. 11246

მათემატიკოსი უმაღლესი ცენზით სტაჟი 1918 წლ. ამზადებს მოწაფეებს

მათემატიკაში

უმაღ., ტექნ. მუშფ. მუშ. უნივერ. შესასვლ. ღებულობს უცოდინარებსაც და ასწავლის

არითმეტიკის

მთელ კურსს 3-4 თვეში, ასწორებს აგრეთვე სუსტ მოწაფეებსაც. პლეხანოვის გამზირი № 25 (შესავალი ჩერნიშევის 5, ალექს. ქ. კუთხიდან). 9—2 ს. 2—5 ს.

3—1 9791

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ.და კანის ავადმყოფ. დილ.—1 ს. საღ. 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრ. „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8

—25

მაქვს ბინა ბათომში

მინდა გადავცვალო

ვ ი ნ მ ე ს.

პირობების გასაგებათ იკითხეთ კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლაევის) № 31, საღამოს 4-დან 9 საათამდე, ჩიქოვანის ბინაში. 11250

პირაშკოვი

ქლ. ვახ.

გულის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამოობით 6—7 ს. ფიოდოსიევის ქ. № 22. № 21 -455. 2—18

ექიმი

ქ. თ. როზიტაშვილი

თვალის სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათ. ვანო კალანდაძეს. ქუჩა № 25

ექიმი

ქ. თ. ტყემელაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის დ შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. 8½—9 საღ. 7—8

7788 613—1

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა 1126